# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

№ 43 (5901)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## დაუბრუნდეს შენობა ქართულ პრესას! 2




ჯემალ კასრაძის და მურად ალაშვილის ფოტო.



## მანანა ნაჭყებია: სიტუაციის გამწვავება და რადიკალიზაცია უკვე აუცილებელია 3



## ირაკლი ბათიაშვილი: თუ ხელისუფლებამ ჩვენი ძალა არ იგრძნო, არჩევნებს ისევ გააყალბებს 4

## სომხეთის მოვლენებში საქართველომ მედიატორის როლი უნდა იკისროს 11



## ვახტანგ ხმალაძე: ჩემი აზრით, ეს საკონსტიტუციო ცვლილება პოლიტიკური სიბეცეა! 2



## სიკეთეა თუ ბოროტება ლარის რევალვაცია? 6

## დემოკრატიის ფორმირება არ შეიძლება სხვა ქვეყნებიდან მიღებული საეჭვო გზავნილებისა და დიქტატის მიხედვით 9

## ვისი წარსულია ბნელი და ვისი ნათელი: დასავლეთის თუ აღმოსავლეთის? 8



ფრაგმენტი ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მართლმადიდებლურ და კათოლიკურ-პროტესტანტულ ცივილიზაციათა შეტაკება“

**ქართული არჩევნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ე. წ. ადმინისტრაციული რესურსის ყველაზე ეფექტიანად გამოყენება სწორედ მაჟორიტარული არჩევნების დროს ხერხდება**

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

## კითხული კაცის აზრი

**საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილება იგეგმება, რომელიც პარლამენტის პროპორციული და მაჟორიტარული წესით დაკომპლექტების წესის შეცვლას ითვალისწინებს. პარლამენტმა ეს ცვლილება პირველი მოსმენით მიიღო, რომელსაც ოპოზიცია პროტესტის გამო არ დასწრებია. ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებამდე კანონში ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანას ეჭვის თვალით უყურებს და მას ხელისუფლების მიერ საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის წინაპირობად აფასებს.**

**ამ საკითხის განმარტება და შეფასება კონსტიტუციის ერთ-ერთ ავტორს ვახტანგ ხმალაძეს ვთხოვეთ.**

ის ამ ცვლილებას დაუშვებლად და კანონდარღვევად აფასებს და საკუთარ პოზიციას დამაჯერებელი არგუმენტებით ასაბუთებს. მართალია, პარლამენტმა ეს ცვლილება პირველი მოსმენით მიიღო, მაგრამ ვახტანგ ხმალაძე იმედოვნებს, რომ პარლამენტი მას საბოლოოდ არ დაამტკიცებს.

**„ეს ცვლილება გულისხმობს იმას, რომ პარლამენტის არჩევნები შერეული წესით გაიმართება და 75 წევრი პარტიული სიით აირჩევა, რომელსაც ხმას ყველა ამომრჩეველი მისცემს, 75 წევრი კი — ე. წ. ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით გვეყოლება. წინათაც გორის, თელავის, ქუთაისის, რუსთავისა და სხვა რაიონები თითო-თითო დეპუტატს ირჩევდა. ასეთი დეპუტატი 75 იქნება, მაგრამ ადრეც ეწერა კონსტიტუციაში და ახლაც წერია, რომ მაჟორიტარული წესით 50 დეპუტატი აირჩევა, ანუ პროპორციული წესით ასარჩევ პირთა რაოდენობა 25-ით შემცირდა, მაჟორიტარული წესით ასარჩევთა რაოდენობა კი გაიზარდა. ითქვა ისიც, რომ ეს 75 ადამიანი აირჩევა საქართველოს იმ რაიონებიდან, ანუ იმ ქალაქებიდან, რომლებიც რაიონის შემადგენლობაში არ შედიან. ჩემი აზრით, ეს უაღრესად სახიფათო და არასწორი ინიციატივაა. საქართველოში ასეთი რაიონებისა და ქალაქების რაოდენობა არის 85 და არა — 75. 85-დან 8 ასეთი რაიონი და ქალაქი აფხაზეთშია, ხოლო 2 ცხინვალის რეგიონში. ისმის კითხვა: სად წავიდა ეს 10 ადგილი? აქამდე ეს 10 ადგილი დარეზერვებული, ანუ ცარიელი იყო. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ამ რაიონებსა და ქალაქებში კანონით გათვალისწინებული არჩევნები გაიმართება და არჩეული დეპუტატები პარლამენტში საკუთარ ადგილებს დაიკავებენ“,** — განმარტა მან.

# ვახტანგ ხმალაძე: ჩემი აზრით, ეს საკონსტიტუციო ცვლილება პოლიტიკური სიბეცეა!

ვახტანგ ხმალაძე ამ ცვლილებას უარყოფითად აფასებს და ფიქრობს, რომ ამით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ხალხისთვის პარლამენტში ადგილები დარეზერვებული აღარ იქნება. მისი აზით, ეს ფაქტი საქართველოს არაკეთილმოსურნეებს იმის თქმის სრულ საფუძველს მისცემს, რომ საქართველოში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, რითაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე ქართველები პრეტენზიას აღარ აცხადებენ.



**„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ რამდენიმე თვეში რომელიმე ამ რეგიონში ნორმალური ვითარება შეიქმნა, მაშინ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა უნდა დავიწყოთ იმისთვის, რომ იმ შემოერთებული რეგიონებიდან პარლამენტის წევრები ავირჩიოთ? ყველა ადგილი დაკავებული იქნება და როგორი ცვლილება უნდა შევიტანოთ კონსტიტუციაში? ამ ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდაა, რადგან იქიდან ვერავის გააგდებ. პარლამენტართა რაოდენობის გაზრდას კი რეფერენდუმი კრძალავს, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-ს არ უნდა აღემატებოდეს. როგორ უნდა მოვიქცეთ? ისევ უნდა ჩავატაროთ რეფერენდუმი, გავზარდოთ პარლამენტართა რიცხვი და მერე ჩავატაროთ არჩევნები? ჩემი აზრით, ეს პოლიტიკური სიბეცეა. ესაა ერთი და ძალზე მნიშვნელოვანი მხარე ამ გადაწყვეტილების, რბილად თუ ვიტყვით, მცდარობისა“,** — აღნიშნა მან.

მანვე აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებით ოპოზიციასა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის არსებული შეთანხმება დაირღვა.

**„ხელისუფლების საპასუხო მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში პარლამენტის 50 წევრი რეგიონული პარტიული სიების მიხედვით პროპორციული წესით აირჩევა. ამ შეთანხმების სუბიექტები იყვნენ, ერთი მხრივ, ოპოზიცია და, მეორე მხრივ, მმართველი პოლიტიკური ძალა. შეთანხმება ეხებოდა ოპოზიციასა და მმართველ პოლიტიკურ ძალას და არა ცალკე საპარლამენტო უმრავლესობაში აზრის სხვადასხვაობას და შემდეგ ამ ყველაფრის ოპოზიციასთან შეთანხმებას. ორივე მემორანდუმის ტექსტიდან ჩანს , რომ მოსაუბრე მოკამათე ხელისუფლება და ოპოზიციაა. ჩვენ კი მოულოდნელად ვიღებთ შედეგს, როცა ამბობენ ეს ცვლილება იმიტომ ხდება, რომ შეთანხმება ვერ მოხერხდაო. ვის და ვის შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება? ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის? არა, თურმე თავად მმართველ პოლიტიკურ ძალაში აღმოჩნდა სხვა აზრი“,** — განაცხადა მან.

ვახტანგ ხმალაძის თქმით, ამ ქმედებით კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის კონსტიტუციითვე დადგენილი წესი დაირღვა. ნებისმიერ ცვლილებაზე მსჯელობა პარლამენტში შეიძლება დაიწყოს მხოლოდ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესული პროექტის საყოველთაო განხილვისთვის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. მისი თქმით, პარლამენტში სრულიად სხვა ცვლილება განიხილებოდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ 50 ადამიანის არჩევა მაჟორიტარული წესით მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით შეცვლილიყო 50 ადამიანის არჩევის პროპორციული წესით.

**„ერთი კვირის წინათ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა შევიდა, რომელიც არჩევის პრინციპს ცვლის, ანუ ეს ტექნიკური ცვლილება არ არის, რომელიც შეიძლება განხილულიყო წინათ წარდგენილი კანონპროექტის ფარგლებში. ეს სრულიად კანონიერი იქნებოდა, მაგრამ პარლამენტში შედის სრულიად სხვა პრინციპით განსაზღვრული წესი, რომელიც ოფიციალურად არც გამოქვეყნებულა. ერთი თვის გასვლას არავინ დალოდებია და ერთ კვირაში, პირველი მოსმენით, პარლამენტმა ეს ახალი წესი მიიღო. ეს არის ჩემი არგუმენტები. ვფიქრობ, ასეთი ცვლილება, ერთი მხრივ, პოლიტიკურად უაღრესად გაუმართლებელია და, მეორე მხრივ, კანონითა და კონსტიტუციით განსაზღვრული ცვლილებების მიღების პროცესია დარღვეული“,** — განმარტა ვახტანგ ხმალაძემ.

მანვე აღნიშნა, რომ ქართული არჩევნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ე. წ. ადმინისტრაციული რესურსის ყველაზე ეფექტიანად გამოყენება სწორედ მაჟორიტარული არჩევნების დროს ხერხდება. ამას გარდა, ისეთი უკანონო ფორმები, როგორიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა, იძულება ასევე ეფექტიანად გამოიყენება მაჟორიტარული არჩევნების დროს.

**„პარლამენტში შესული ის კანდიდატები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, ან ისეთი ადამიანები, რომლებიც მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ფორმალურად არ არიან, მაგრამ ფაქტობრივად მათთან შეთანხმებით მოქმედებენ, სხვებთან შედარებით უდავო უპირატესობას იღებენ. პარლამენტში არჩევის შემდეგ მაჟორიტარების ასეთი ჯგუფები, რომელთა ნაწილიც უმრავლესობის წევრი ფორმალურად არ არის, ზოგჯერ ქმნიან ფრაქციებს სხვადასხვა სახელწოდებით. საპარლამენტო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი ჯგუფები ლამის ყოველთვის მმართველი პარტიის პოზიციას უჭერენ მხარს. აი, სწორედ ეს იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს ცვლილება, ანუ პროპორციული წესით ასარჩევთა რაოდენობის შემცირება და მაჟორიტარული წესით ასარჩევთა რაოდენობის გაზრდა ხელისუფლებას დასჭირდა იმისთვის, რომ ფრიად შესუსტებული პოზიციისა და მხარდაჭერის პიროვნებშიც კი შეძლოს მეტი მანდატის მოპოვება, ვიდრე სხვა შემთხვევაში მას ექნებოდა“,** — დაასკვნა ვახტანგ ხმალაძემ.

ესაუბრა
**მაია ხორგუაშვილი**



## პროტესტი

# დაუბრუნდეს შენობა ქართულ პრესას!

**ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, მთლიანად ვიზიარებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეების თვალსაზრისს გამომცემლობა „სამშობლოს“ პრესის მუშაკებისთვის დაბრუნების შესახებ.**




**უსულგულობას, რომელიც შარშან, 10 აგვისტოს, ხელისუფლებამ გამომცემლობაში განთავსებული რედაქციებისა და გამომცემლობების, ჩვენი მეგობარი ჟურნალისტების მიმართ ჩაიდინა, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ანალოგს ვერ უპოვით.**

**ჰოდა, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ჩაუფიქრდეს ხელისუფლება იმას, რომ ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის, კერძოდ კი, ჟურნალისტების აბუჩად აგდება არ ეგების და დაუბრუნოს შენობას ადრინდელი ფუნქცია.**

**ანზორ ერქომაიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ზურაბ ქაფიანიძე, ჯემალ ბაღაშვილი.**

## ინფორმაცია

# „რესპუბლიკური პარტია“ არასწორად მიიჩნევს

**„რესპუბლიკური პარტია“ საპრეზიდენტო არჩევნების ხელმეორედ ჩატარების მოთხოვნას არასწორად მიიჩნევს და არც ამ მოთხოვნით საპროტესტო აქციას შეუერთდება.**

როგორც „რესპუბლიკელმა“ დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, ახლა უმჯობესია, რომ ოპოზიციამ საპარლამენტო არჩევნებზე იფიქროს და ამ მიმართულებით კოორდინაცია გასწიოს.

მისი თქმით, როდესაც რაიონში მაჟორიტარული არჩევნები უნდა ჩატარდეს, უმჯობესია, ოპოზიციამ კოორდინაციის გზით ერთი კანდიდატურის შეჯერებაზე იფიქროს.

დეპუტატი დასძენს, რომ ისინი აქციებს იმ შემთხვევაში შეუერთდებიან, თუ მოთხოვნები საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწისა და მემორანდუმის საკითხებთან დაკავშირებით იქნება. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების ხელმეორედ ჩატარებას, ამ მოთხოვნაზე „რესპუბლიკელები“ კატეგორიულ უარს აცხადებენ და მას არასწორად მიიჩნევენ.

# გამოდგება ესკალაციის ფორმად აქციები?

**საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციაში“ ვითარების ესკალაციას ეთანხმებიან, მაგრამ ესკალაციის ფორმად აქციების გამოყენება მსჯელობის საგანი უნდა იყოს.**

როგორც „მემარჯვენე“ ოპოზიციის წევრი მამუკა კაციტაძე აცხადებს, იგი ვითარების ესკალაციას აუცილებლად მიიჩნევს, რადგან, მისი თქმით, ხელისუფლებასთან ადამიანურ ენაზე საუბარი შეუძლებელია.

მამუკა კაციტაძის განცხადებით, ხელისუფლებასთან დიალოგი პრაგმატული და შედეგებზე ორიენტირებული უნდა იყოს. იგი ხელისუფლებასთან დიალოგს მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს, თუ ხელისუფლება მაჟორიტარული არჩევნების წესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას შეცვლის, რაც დეპუტატს აბსოლუტურად შესაძლებლად მიაჩნია.

მიიღებენ თუ არა „მემარჯვენეები“ 9 მარტის აქციაში მონაწილეობას, ეს საკითხი ჯერჯერობით ჩამოუყალიბებელია, თუმცა „მემარჯვენეები“ აღნიშნავენ, რომ აქციის გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში „მემარჯვენეებს“, ისევე როგორც ერთიან საბჭოში არშემავალ პოლიტიკურ ძალებს, მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ინტერპრესნიუსი**

● თუ თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის ობიექტური პირობები არ შეიქმნება, ბუნებრივია, ასეთ პირობებში არჩევნებში მონაწილეობა არ ღირს, რადგან მოხდება ის, რაც 5 იანვარს მოხდა. ჩვენ პოლიტიკურად დასაშვები ყველა ფორმით ვიბრძოლებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ



◉ ინფორმაცია

## ნუ იყიდით ქართველებისგან მანქანებს!

**სამხრეთ ოსეთის** დე ფაქტო ხელისუფლებამ რეგიონის მოსახლეობა, ქართული მხარის მიერ ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ გააფრთხილა.

შინაგან საქმეთა და უსაფრთხოების სამინისტროების მიერ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ მოსალოდნელია ანალოგიური ტერორისტული აქტები, როგორიც ცხინვალში დეკემბერში მოხდა. 16 დეკემბერს მანქანის აფეთქების შედეგად ოსი მილიციელი მაირბეკ ხურიევი გარდაიცვალა და კიდევ ორი ადამიანი მძიმედ დაშავდა.

სამინისტროებმა მოუწოდეს მოსახლეობას თავი შეიკავონ ქართველებისგან მანქანების ყიდვისგან, გააფრთხილეს რა, რომ მათში, შესაძლოა, ასაფეთქებელი ნივთიერები იყოს დამონტაჟებული.

## ქართული სოფლის მაოხრებელი და დამაქცევარი

**„ლეიბორისტები“** საპროტესტო გამოსვლებს გეგმავენ. როგორც ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რეგიონებში საქართველოს ხელისუფლების პროგრამები „დამაქცეველია“.

იმისათვის, რომ რეგიონებში მოსავლის მისაღებად უკეთესი პირობები შეიქმნას, „ლეიბორისტები“ მოითხოვენ 50 ლიტრი დიზელის საწვავი დარიგდეს და დამატებითი საწვავი გლეხებს ნახევარ ფასში გადაეცეთ.

მიხეილ სააკაშვილს ქართული სოფლის მაოხრებელი და დამაქცეველი შეიძლება ვუწოდოთ. მისი ქცევა ქართველი გლეხების მიმართ სხვაგვარად ვერ გამოითქმის. ძნელბედობის გამო ქართული სოფელი ცარიელდება და მოსახლეობა უცხოეთს აფარებს თავს,– განაცხადა გუგავამ.

მისივე თქმით, დღევანდელმა მთავრობამ საექსპორტო პროდუქციას მძიმე პირობები შეუქმნა

გლეხები ულუკმაპუროდ რჩებიან, ასე თუ გაგრძელდა, მალე სოფელი საერთოდ აღარ იარსებებს. მთავრობა გონზე უნდა მოეგოს და შრომისმოყვარე ქართველ გლეხს ნორმალური პირობები შეუქმნას, – განაცხადა გუგავამ.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ მემარჯვენე ოპოზიცია

*ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრები და სხვა ოპოზიციური პარტიები საპრეზიდენტო არჩევნების საკითხს უბრუნდებიან და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. ეროვნულმა საბჭომ აქციების დაწყება ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მოითხოვა და ისევ მხარდამჭერების მობილიზებით დაიმუქრა.*

*შეუერთდებიან თუ არა ამ აქციებს „ახალი მემარჯვენეები“ და გაწევრდებიან თუ არა ისინი ერთიან ეროვნულ საბჭოში? პარტიის მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის შესახებ მის ერთ-ერთ წევრს მანანა ნაჭყებიას ვესაუბრეთ.*

# მანანა ნაჭყებია:

# სიტუაციის გამწვავება და რადიკალიზაცია უკვე აუცილებელია

**— ეროვნული საბჭო აქციებს იწყებს. როგორი იქნება „ახალი მემარჯვენეების“ პოზიცია ამასთან დაკავშირებით და რა ურთიერთობა გექნებათ ერთიან ეროვნულ საბჭოსთან?**

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესის გამო დანაპირები არ შეასრულა, მივხვდით, რომ მის მიმართ ნდობის ლიმიტი ამოწურულია. ოპოზიციის მხრიდან, ვფიქრობ, რადიკალიზაცია და სიტუაციის გამწვავება აუცილებელია, რათა ხელისუფლებამ ცოტა სხვაგვარად შეხედოს და შეაფასოს მოვლენები. მან უნდა დაინახოს, რომ თუ დემოკრატიული სახელმწიფოს არააშენებს, არც ნატოში და არც ევროკავშირში გზა არ გაეხსნება. ამის გამო, ვფიქრობ, რაღაც ფორმით, საპროტესტო აქციებში მონაწილეობას მივიღებთ. ორგანიზატორი ეროვნული საბჭო იქნება და ჩვენ, წინა შემთხვევის მსგავსად, სოლიდარობას გამოვუცხადებთ. მაგრამ ამ მხარდაჭერას რა ფორმით გამოვხატავთ, უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ. მოგეხსენებათ, პარტია მხოლოდ მისი ლიდერებისგან არ შედგება. მას თავისი მუშა პოლიტიკური ორგანოები აქვს და მათთან შეთანხმება აუცილებელია.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ოპოზიციის ძალიან სერიოზული, კოორდინირებული მოქმედებაა საჭირო. თუმცა, ამისთვის, მაინცდამაინც ერთიან ეროვნულ საბჭოში შესვლა აუცილებელი არ არის. კოორდინაცია მათთან წევრობის გარეშეც შესაძლებელია. შესაძლოა კონფიგურაციაზე ვიფიქროთ. ამაზე ერთიან ეროვნულ საბჭოსთან ერთად ჩამოვყალიბდებით. თუმცა იმას, რომ აუცილებელი იქნება ერთიანი სქემით მოქმედება და ერთიანი ფრონტის შექმნა, ჩვენი პოლიტიკური ძალა, საბედნიეროდ, კარგად აცნობიერებს. ამას ყველა სხვა ოპოზიციური ძალაც ხედავს.

**— რიგგარეშე საპრეზიდენო არჩევნების გარდა სხვა რა მოთხოვნებს წამოაყენებთ?**

— ოპოზიციის მემორანდუმში თავიდანვე წაყენებულ საკითხთა ჩამონათვალიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი საკითხია გადაწყვეტილი. ბოლომდე გადაწყვეტილად არც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემა შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, მართალია სამეურვეო საბჭოს შერჩევისას გარკვეული პარიტეტი იყო, მაგრამ დირექტორის დანიშვნა საკმაოდ მნიშვნელოვანია და ვნახოთ, პროცესი როგორ წარიმართება. პოლიტპატიმრების საკითხიც ნაწილობრივაა გადაწყვეტილი, რადგან, ისევე როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ხელისუფლებამ აქაც ჩვეული მზაკვრობა გამოიჩინა და ის ადამიანები თანხის გადახდის საფასურად გაათავისუფლა. თითოეულმა მათგანმა 2000 ლარი გადაიხადა. თუმცა ყველა მაინც არ გაუთავისუფლებიათ და ეს ბრძოლაც კიდევ გასაგრძელებელია. რაც ყველაზე მთავარია, ახლა წყდება იმ ინსტიტუციების გარდაქმნის საკითხი, რომელსაც არჩევნების ჩატარებაში ყველაზე დიდი როლი აქვს. ეს საარჩევნო ადმინისტრაციაა. ეს პროცესი, ვფიქრობ, გადამწყვეტი იქნება, რადგან თუ გვექნება ინსტიტუციები, რომლებიც მზად იქნებიან, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე იმუშაონ, არ შეასრულონ ხელისუფლების დაკვეთა და ქვეყანაში ობიექტური, თავისუფალი არჩევნები ჩაატარონ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რაც ჯერჯერობით არ არსებობს.

**— ფიქრობთ, რომ ოპოზიცია ერთიანობას ბოლომდე შეინარჩუნებს? ერთიანი ეროვნული საბჭოდან რესპუბლიკური პარტიის გამოყოფას როგორ აფასებთ?**



— ვფიქრობ, შეინარჩუნებს, რადგან თავად რესპუბლიკური პარტიაც აცხადებს, რომ კოორდინირებულად მოქმედებისთვის მზად არის. ერთიანი ეროვნული საბჭოდან ცალკეული სუბიექტის გასვლით დიდი ტრაგედიის შექმნა არ მინდა. საპრეზიდენტო არჩევნების დროს არც ჩვენ ვიყავით მათი წევრები, მაგრამ კოორდინირებულად ვმოქმედებდით. ჩვენ იმთავითვე განვაცხადეთ, რომ თუ მეორე ტურში სხვა კანდიდატი გავიდოდა, მხარს აუცილებლად იმ კანდიდატურას დავუჭერდით. სამწუხაროდ, მეორე ტური არ შედგა, თუმცა, ვთვლით, რომ საპარლამენტო არჩევნები იქნება მეორე ტური და, ცხადია, ყველა ოპოზიციური პარტია ერთად ვიქნებით.

**— მოთხოვნების სათანადოდ დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საპარლამენტო არჩევნებში მაინც მიიღებთ მონაწილეობას?**

— თუ თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის ობიექტური პირობები არ შეიქმნება, ბუნებრივია, ასეთ პირობებში არჩევნებში მონაწილეობა არ ღირს, რადგან მოხდება ის, რაც 5 იანვარს მოხდა. ჩვენ პოლიტიკურად დასაშვები ყველა ფორმით ვიბრძოლებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ.

აშშ და ყველა ის მისია, რომელიც საქართველოში სადამკვირვებლო მიზნით იყო ჩამოსული, ღიად და დაუფარავად აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ძალზე მნიშვნელოვანია და ეს გარკვეული ტესტი იქნება. თეთრი სახლიდან ეს განუწყვეტლივ გვესმის. ამიტომ, თუ ხელისუფლებამ ყველაფერი არ გააკეთა საპარლამენტო არჩევნების ობიექტურად ჩატარებისთვის, მას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ სერიოზული პრობლემები შეექმნება, ელემენტარულად, ის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ვერ შეძლებს. ეს გამორიცხული იქნება. მასში გაწევრებული არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ მათ რიგებში შევიდეს სახელმწიფო, რომელიც ადამიანის ელემენტარულ უფლებებს არღვევს და ანტიკონსტიტუციურ ქმედებას სჩადის. ხელისუფლებამ ეს უნდა გააცნობიეროს და თავის ნაბიჯებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს, რადგან ეს ქვეყნის ბედია და საქართველოს წარსულში დაბრუნებას არავინ აპირებს.

ესაუბრა
**სოფიო გოგლიძე**

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

◉ კომენტარი



# კოტე გაბაშვილი: სიმონსი არ არის ის ფიგურა, ვინც საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხს წყვეტს

**პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა კავკასიასა და შუა აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის რობერტ სიმონსის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.**

როგორც გაბაშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, სიმონსის განცხადება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი დადებითად არ გადაწყდება.

გაბაშვილის განცხადებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები ანგარიშს უწევენ რუსეთის პოზიციას საქართველოს ნატოში გაწევრებასთან მიმართებაში და იქიდან გამომდინარე, რომ სიმონსმა აღნიშნული განცხადება რუსულ მედიასაშუალებებში გააკეთა, მან თავი აარიდა პირდაპირ პასუხს საქართველოსთან დაკავშირებით.

„მან ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ რუსულ რადიოსადგურს და გასაგებია, რომ ილაპარაკა ისე, რომ არ გაეღიზიანებინა რუსეთის პოლიტიკური ელიტა. აქვე მინდა ვთქვა, რომ სიმონსი არ არის ისეთი ფიგურა, ვინც წყვეტს საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხს. ეს წყდება ბევრად უფრო მაღალ დონეზე, ალიანსის წევრი სახელმწიფოების მიერ, თუმცა ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად შემაფერხებელ ფაქტორს მაინც რუსეთი წარმოადგენს, რადგან ყველასთვის ცნობილია რუსეთის პოზიცია საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით, რუსეთი კი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა ნატოს წევრი ქვეყნებისთვის“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ გაბაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ კავკასიასა და შუა აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობერტ სიმონსმა საქართველოს ნატოში გაწევრების შესახებ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ბუქარესტში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტზე, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებაზე ლაპარაკი არ იქნება. „ვერც საქართველო და ვერც უკრაინა აპრილის დასაწყისში დაგეგმილ ალიანსის სამიტზე ბუქარესტში ნატოს წევრობის კანდიდატების სტატუსს ვერ მიიღებენ“, — აღნიშნა სიმონსმა.

ჯი-ეიჩ-ენი

● თუ არჩევნების მოგება გვინდა, ეს არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს მზარდი და მძლავრი საპროტესტო ტალღების ფონზე. თუ ხელისუფლებამ არ იგრძნო არანაირი ზეწოლა, ისევ გააყალბებს



◉ პოზიცია

***უკვე ჩვევაში გადასული ხელისუფალთა წინასაარჩევნო „ლმობიერება“ და „შემწყნარებლობა“ აღარავის გვაოცებს. ასეთი „გამძაფრებული ჰუმანურობის“ გამო საპრეზიდენტო არჩევნების წინ რამდენიმე პატიმარი და, მათ შორის, ირაკლი ბათიაშვილიც შეიწყალეს. პოლიტპატიმრობიდან განთავისუფლებული ბათიაშვილი კვლავ ოპოზიციის რიგებს შეუერთდა.***

***თუ როგორ აფასებს ის ამჟამინდელ პოლიტიკურ სიტუაციას, და მოვლენებს, ამაზე ყოფილი პოლიტპატიმარი თავად გვიამბობს.***

# ირაკლი ბათიაშვილი: თუ ხელისუფლებამ ჩვენი ძალა არ იგრძნო, არჩევნებს ისევ გააყალბებს

— როდესაც დამაპატიმრეს, სხვა სიტუაცია იყო, გარეთ გამოსულს არსებითად შეცვლილი პოლიტიკური ვითარება დამხვდა. პოლიტიკურთან ერთად, სულ სხვა ფსიქოლოგიური ატმოსფეროა. ჩემი დაჭერის მომენტში სააკაშვილის მოძალადე ავტორიტარული რეჟიმის ზეობის ხანა იყო. იმ პერიოდში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დათრგუნული გახლდათ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო დაშინება, დაჭერა, საზოგადოების დატერორება. ამ ყველაფერს საფუძვლად ის ედო, რომ ხელისუფლებას ეგონა, არაფერი მოეკითხებოდა. ნოემბრის მოვლენების შემდეგ კი, სიტუაცია კარდინალურად შეცვლილია. ხალხში შიში ფაქტობრივად დაძლეულია, ოპოზიცია ძალიან ძლიერია...

**— ოპოზიციურ ძალებში ბოლო დროს განვითარებულმა ცვლილებებმა (ვგულისხმობ ერთიანი ეროვნული საბჭოდან რესპუბლიკური პარტიის გამოსვლას) მოსახლეობის არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია.**

— ოპოზიცია ძლიერია, თუმცა ახლა სიძნელის პერიოდია. ამ ყველაფერს სწორი გაანალიზება და სწორი ტაქტიკის შემუშავება სჭირდება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი დაღმავალი პერიოდები ყოველთვის არსებობს.

**— როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ოპოზიციის გახლეჩა?**

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პოლიტიკაში არის ალმავალ-დალმავალი ფაზები, რომლებიც, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიურ დინამიკაზეც არის დამოკიდებული. პოლიტიკოსები უამრავ ენერგიას ხარჯავენ, უზარმაზარ ემოციებსა და სტრესებს აქვს ადგილი, რაც ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე. ინყება ხოლმე შედარებით დალმასვლა. არის სხვა მიზეზებიც: ოპოზიციის მხრიდან დაშვებული შეცდომებით ხელისუფლებამ ისარგებლა.

**— ანუ, მიგაჩნიათ, რომ ცალ-ცალკე გაყოფით ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა?**

— მოსახლეობაში იყო მზარდი, ამაღლებული საბრძოლო სულისკვეთება, ამ გაყოფით კი გაჩნდა ეჭვი, თითქოს ოპოზიცია საარჩევნო სიებით და კვოტებით არის გართული. ამან ცუდად იმოქმედა ხალხზე. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ხელისუფლებამაც, რომელიც მუდმივად აცხადებდა, რომ ოპოზიციაში უთანხმოებაა, კამათია, ვერ თანხმდებიან, თავიანთ სკამებზე ფიქრობენ, ხალხო, გიყენებენო და ა. შ. ყველაფერმა გამოიწვია ხალხის და ოპოზიციის განწყობების მცირედი შეუსაბამობა. ამიტომ, მოსახლეობის ნაწილში შეიმჩნევა გულგატეხილობის ტენდენცია. თუმცა, ამით ხელისუფლებისადმი ხალხის მძაფრი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეცვლილა. შეიძლება ოპოზიციის მიმართ მართლაც არის მცირედი იმედგაცრუება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს დროებითი მოვლენაა და ოპოზიციის მხრიდან სწორი ტაქტიკის შემუშავების და მოქმედების პირობებში, ეს მდგომარეობა დაიძლევა.

**— ამ გაყოფით, ოპოზიციამ კიდევ ერთხელ ხომ არ გაუშვა არჩევნების მოგების და პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების შანსი?**

— ხელისუფლება ძალიან ცდილობს, რომ ოპოზიციის ასეთი გაყოფა განხეთქილებად წარმოაჩინოს. თუ მოსახლეობაში ოპოზიციის მიმართ ასეთი გაუგებრობის ელემენტები დარჩა, რა თქმა უნდა, ეს არ მოიტანს დადებით შედეგს. თუკი ოპოზიცია სწორად აუხსნის ხალხს, რომ სინამდვილეში ეს არის წინასაარჩევნო ეფექტიანი ტაქტიკა, რომლითაც უფრო კარგი შედეგი მიიღწევა, რადგანაც ოპოზიცია რამდენიმე საარჩევნო სუბიექტად იქნება წარმოდგენილი, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

**— ე. ი. ოპოზიციის ასეთი გაყოფა მხოლოდ წინასაარჩევნო ტაქტიკაა და არა რაიმე დაპირისპირება?**

— რა თქმა უნდა. ამავე დროს, ასეთი დანაწევრებული სახითაც ოპოზიციამ უნდა მოახერხოს (და, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება), შეძლოს საერთო კოორდინაციის შემუშავება. მათ უნდა დაანახონ საზოგადოებას, რომ ერთი მიზანი აქვთ — შეცვალონ სააკაშვილის ავტორიტარული, მახინჯი სისტემა, მაშინ ასეთი ტაქტიკა მეტი შედეგის მომტანი იქნება.

**— თუმცა, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებმა გვიჩვენა, ოპოზიციის ასეთი დაყოფის ტაქტიკამ ვერ გაამართლა?**

— მაშინ სწორედაც რომ გაამართლა. რომ არ ყოფილიყო ტოტალური ტერორი და გაყალბება, ოპოზიციური კანდიდატები მთლიანობაში სააკაშვილს მოუგებდნენ და მოუგეს კიდეც. სააკაშვილს არ აუღია 53 პროცენტი. მეორე ტურში კი გაჩეჩილაძე, როგორც ოპოზიციის კანდიდატი, სააკაშვილს მოუგებდა. მთავარი იყო ცალ-ცალკე ყველას წაერთვა სააკაშვილისთვის მეტი ხმები და ეს პრინციპი დღესაც გაამართლებს.

**— თქვენი აზრით, რა შანსები აქვს ოპოზიციას გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებში?**

— ძალიან დიდი შანსი აქვს. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი დისკრედიტებულია, მოსახლეობის მცირე ნაწილში მაინც მას აქვს რეიტინგი. იმ ოდიოზურ პარტიას კი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია, რეიტინგი სრულიად აღარ აქვს. რამდენიც უნდა გადაალაგონ სახეები, ბოკერია დამალონ და გივი თარგამაძეს ან ეკა ტყეშელაშვილს, მიშა მაჭავარიანს ან სხვებს თუ გამოაჩენენ ხშირად, რა, ამით შეიცვლება ვითარება? ძირითადად მსახიობებს, მომღერლებს, ხელოვნების სხვა წარმომადგენლებს ეძახიან თავიანთ რიგებში. ეტყობა პარლამენტი შემოქმედებით სახელოსნოდ უნდა გადააქციონ (?!).

სააკაშვილმა მთელი თავისი საპრეზიდენტო კამპანია ააგო ლოზუნგზე — „საქართველო სიღარიბის გარეშე“. მართალია, არც მაშინ სჯეროდა ვინმეს, რომ ეს ხელისუფლება სიღარიბეს დაძლევდა, მაგრამ ამ პერიოდში, გაზაფხულამდე ყველა საბოლოოდ დარწმუნდება ხელისუფლების უსუსურობაში. ასე რომ, ამ არჩევნებში, ვფიქრობ, გაცილებით მეტი შანსი აქვს ოპოზიციას.

**— თქვენ არჩევანი შეაჩერეთ რესპუბლიკურ პარტიაზე და მათ რიგებს შეუერთდით. რატომ მაინცდამაინც რესპუბლიკელები?**

— ეგ გასაკვირი არ არის. მე ვიცნობ ამ პარტიის წევრებს. ისინი ყოველთვის თანამიმდევრულები იყვნენ, მითუმეტეს ამ ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისას. მოკლედ, ძალიან სოლიდური ორგანიზაციაა. ამავე დროს, ეს არის საკმაო ტრადიციის მქონე პარტია, რომელიც 70-იან წლებში ჩაისახა. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ეს პარტია არ აპირებს გარიგებებზე წასვლას ამ ხელისუფლებასთან. ამ პარტიის წევრები პრინციპულად დგანან საკუთარ პოზიციებზე და ამ პოზიციას არ გადაუხვევენ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ დღეს ოპოზიციას რადიკალიზმი აკლია?**

— ყოველთვის ერთნაირად რადიკალური ვერ იქნები. თუმცა, შეიძლება ცოტა მეტი რადიკალიზმი მართლაც საჭირო იყოს. ერთი კი ვიცი, თუ არჩევნების მოგება გვინდა, ეს არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს მზარდი და მძლავრი საპროტესტო ტალღების ფონზე. თუ ხელისუფლებამ არ იგრძნო არანაირი ზეწოლა, ისევ გააყალბებს.

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**



◉ პარტიებსა და მოძრაობებში

# გიორგი ლაღიძე: ხელისუფლება შეეცდება, სატელიტ პარტიებთან ერთად კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს

**უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ, ქვეყანაში კი კონსტრუქციული დიალოგისკენ გამუდმებულმა მოწოდებებმა შედეგი ვერ გამოიღო. ოპოზიციამ, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საპროტესტო აქციებზე ხალხის მობილიზება საკმაოდ უჭირდა, ბარიერი დაძლია და ხელისუფლებაზე განაწყენებული ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, თუმცა საარჩევნო სიების ფორმირებასთან ერთად, ოპოზიციურ ერთობასაც ბზარი გაუჩნდა.**

ახლად დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის „მომავალი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე **გიორგი ლაღიძე** მიიჩნევს, რომ რესპუბლიკელების მიერ ერთიანი ეროვნული საბჭოს დატოვება მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე უშვებს წყალს. „ჯიეიჩ-ენთან“ საუბარში ლაღიძე აღნიშნავს, რომ ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაშვებულ შეცდომას იმეორებს.

**„ოპოზიციას სტრატეგიული შეცდომა მოუვიდა, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთიანი კანდიდატი არ წამოაყენა. ასეთივე შეცდომაა ეროვნულ საბჭოში არსებული გარკვეული უთანხმოებაც. გაერთიანებული ოპოზიციის დაშლა ხელისუფლების ოცნება იყო, რასაც ოპოზიციის ნაწილმა, ნებით თუ უნებლიედ ხორცი შეასხა. თუკი უთანხმოება მხოლოდ საპარლამენტო მანდატებს უკავშირდება, რბილად რომ ვთქვათ, ეს უხერხულია და სულ სხვა რამეზე მეტყველებს“**, — აღნიშნავს ლაღიძე და დასძენს, რომ საზოგადოება არჩევნებამდე პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებას კიდევ უნდა ელოდეს, ვინაიდან **„ხელისუფლება შეეცდება სატელიტ პარტიებთან ერთად კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს“.**

თავად ლაღიძე ადასტურებს, რომ მისი პოლიტიკური პარტია არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. „მომავალი საქართველოსათვის“ ლიდერი არც იმას უარყოფს, რომ ზოგ ოპოზიციურ პარტიასთან ბლოკის შექმნის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს.

**„კონსულტაციები ნამდვილად მიმდინარეობს, მაგრამ ეროვნულ საბჭოსთან მსგავსი მოლაპარაკებები არ გვაქვს, თუმცა კორდინირებულ თანამშრომლობას არც ერთ სუბიექტთან არ გამოვრიცხავ“,** — აცხადებს ლაღიძე.

უახლოეს დღეებში კი „მომავალი საქართველოსთვის“ საარჩევნო პროგრამისა და პოლიტიკური სახეების პრეზენტაციას გამართავს, რომელთა შორის საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი ადამიანებიც იქნებიან.

გიორგი ლაღიძე მიიჩნევს, რომ თუ არჩევნები სამართლიან და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდება, ოპოზიცია საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს. გაყალბების მცდელობის შემთხვევაში კი, „მომავალი საქართველოსთვის“ ლიდერი არ გამორიცხავს, რომ მოვლენები კვლავ საპროტესტო აქციების ფონზე განვითარდეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

**მიწის საკითხზე საქართველოში ყოველთვის იყო მსჯელობა, კამათი. ეთანხმებოდნენ და არ ეთანხმებოდნენ, იწონებდნენ და იწუნებდნენ კიდეც მიწასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიზეზი მიწის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, არსებობა გახლდათ**



მიწა მარჩენალი

*მიწის საკითხზე საქართველოში ყოველთვის იყო მსჯელობა, კამათი. ეთანხმებოდნენ და არ ეთანხმებოდნენ, იწონებდნენ და იწუნებდნენ კიდეც მიწასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიზეზი მიწის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, არსებობა გახლდათ. ამიტომ იყო, რომ 1992-1998 წლებში გატარებული აგრარული რეფორმა საზოგადოების ერთი ნაწილისთვის თუ ანტიეროვნული და მიუღებელი იყო, მეორე ნაწილისთვის „რევოლუციურ ნაბიჯად" მოინათლა. ამ გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ მიწის რეფორმა ასგზის განსჯას მოითხოვს.*

*საქართველოში დაახლოებით 7 მილიონი ჰექტარი მიწის ფართობია, საიდანაც 3 მილიონ ჰექტარზე მეტი ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.*

*დღეისათვის მიწა არის სახელმწიფო, კერძო, ადგილობრივი თვითმმართველობების და ეკლესიის საკუთრება.*

*რაც შეეხება მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, იგი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო.*

*როგორც ცნობილია, მიწის რეფორმა ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი 1992-1998 წლებს მოიცავს, მეორე ეტაპი — სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება — 2005 წლის ივლისში დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს.*

*მიწის რეფორმის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე ინტერვიუ ვთხოვე მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის უფროსს, სამართლებრივ ანალიტიკოსს ალექსანდრე გვარამიას.*

# საკითხი, რომელიც გადაწყვეტამდე ასგზის განსჯა-გაზომვას მოითხოვს

**— ბატონო ალექსანდრე, მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე მიწის ნაკვეთების რა რაოდენობა გადავიდა კერძო საკუთრებაში?**

— დაახლოებით 2 მილიონ 400 000 მიწის ნაკვეთი.

**— თავისთავად პროცესი როგორ შეფასდა?**

— ხარვეზები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ დარღვევები რეფორმის პროცესშივე სწორდებოდა. კი, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმის პირველი ეტაპი დამაკმაყოფილებლად განხორციელდა. კერძო საკუთრებაში არსებული მიწა ჩაება მიწის ბაზარში, მოსახლეობამ დაიწყო მისი დამუშავება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

**— საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 8 ივლისს მიიღო კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ"...**

— დიახ, და ამ კანონის საფუძველზე დაიწყო კიდეც სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შემდგომი ეტაპი.

კანონის მიხედვით პრივატიზებას დაექვემდებარა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები: **სახნავი მიწის ნაკვეთები, სათიბები, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები, მეთევზეობისთვის შექმნილი ხელოვნური ტბორები, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განლაგებულია მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები.**

2006 წლის დეკემბერში პარლამენტმა აღნიშნულ კანონში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პრივატიზებას დაექვემდებარა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მაგრამ 2007 წლის 3 იანვრამდე იჯარით გაცემული საძოვრები, აგრეთვე იჯარით გაუცემელი ის საძოვრები, რომლებიც შესაბამისმა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ დადგენილი წესით გაუპიროვნა მასზე მდებარე ფიზიკური და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებს.

**— თუ შეიძლება დავასახელოთ ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც კანონით პრივატიზებას არ ექვემდებარება.**

— სიამოვნებით, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ პრივატიზებას არ ექვემდებარება პირუტყვის გადასარეკი ტრასები, წყალმომარაგების, წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონის პირველი სარტყელი და ტყის ფონდის მიწები, რეკრეაციული დანიშნულების მიწები, ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწები, დაცული ტერიტორიები საბიუჯეტო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (ეს უკანასკნელი პრივატიზებას დაექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ნორმატიული აქტით უზუფრუქტის ხელშეკრულებების გაუქმების შემდეგ).

**— პრივატიზების უფლება უცხოელ მოქალაქესაც აქვს?**

— სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების უფლება მიენიჭათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოიჯარეებს მიენიჭათ მიწის უპირატესი პრივატიზების უფლება.

**— თუ შეიძლება, ვისაუბროთ იმ ფორმებზე, რომელთა ჩარჩოებშიც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება. მოგეხსენებათ, დღეს ეს საკითხი ბევრს აინტერესებს.**

— გასაგებია ინტერესი ამ საკითხისადმი. მესმის, რომ მიწა, როგორც უძრავი ქონება, დღეს უკვე ბევრს აინტერესებს, სურთ, შეიძინონ და განკარგონ. შევეცდები, ზუსტად განვსაზღვრო პრივატიზების ეს წესი.

მაშ, ასე — **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით.**

**სპეციალური აუქციონით** პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კონკრეტული სოფლის, დაბის, თემისა და ქალაქის ტერიტორიულ საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან საკომლო წიგნებში. თუ მოქალაქე ადრე ცხოვრობდა კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში, მაგრამ რეგისტრირებულია სხვა მისამართზე და, შესაბამისად, არ ირიცხება საკომლო წიგნში, მას არა აქვს სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის უფლება. ასევე არა აქვს ამის უფლება კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

**ღია აუქციონით** პრივატიზებას ექვემდებარება ყოფილი საიჯარო მიწის ნაკვეთი და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი მიწა, რომელიც უკვე გატანილი იყო ღია აუქციონზე. ღია აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

**პირდაპირი მიყიდვის** ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. იჯარით გაცემული მიწის პრივატიზების საფუძველია იჯარის ხელშეკრულება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ასევე ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში. თუ საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთი სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში მდებარეობს, მიწის ნაკვეთის პრივატიზების თაობაზე სპეციალურ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს.

**ცნობისთვის: 2005 წლიდან დღემდე 115 000 ჰექტარი მიწაა პრივატიზებული. აქედან 85 000 ჰექტარი იჯარით გაცემული მიწაა, რომელიც პირდაპირი მიყიდვის ფორმით არის პრივატიზებული, ხოლო 20 000 ჰექტარი — სპეციალური და ღია აუქციონებით.**

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

აჭარა

## ვაჟა ბოლქვაძე:

# უმუშევრობის აღმოსაფხვრელად რამდენიმე წელია საჭირო



***აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ვაჟა ბოლქვაძე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას აცხადებს, რომ ბოლო წლებში მშპ-ის აჭარის რეგიონული წილი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანად ქვეყნისა. მინისტრი მიიჩნევს, რომ წინასწარი მონაცემებით მთლიანი რეგიონული პროდუქტის რეალური ზრდა სულ მცირე, 15 პროცენტი იქნება...***

**— ბატონო ვაჟა, როგორ შეაფასებდით აჭარის საინვესტიციო გარემოს და რა უნდა გააკეთოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო გასაჯანსაღებლად?**

— აჭარის საინვესტიციო გარემო დამაკმაყოფილებელია. ჯანსაღ საინვესტიციო გარემოს, პირველ ყოვლისა, ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური მუშახელი განსაზღვრავს.

ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა საგრძნობლად გააჯანსაღა ბიზნესსაინვესტიციო გარემო. საკმაო თანხა დაიხარჯა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობაში, განვითარდა საბანკო სექტორი. თუმცა ჯერ ბევრია გასაკეთებელი — ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის დახვეწა, წყლისა და კანალიზაციის სისტემები ბათუმში, გზების მშენებლობის დასრულება.

**— ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში მშპ-ის რეგიონული წილის დინამიკა გაიზარდა. რა ფაქტორები განაპირობებენ ამას? თქვენი გათვლებით, რა პროცენტული მაჩვენებლებით დასრულდება 2008 წელი?**

— ბოლო სამი წლის განმავლობაში მშპ-ის აჭარის რეგიონული წილი, მართლაც, რამდენიმე პუნქტით სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანად ქვეყნისა. მართალია, ამჟამად 2007 წლის ზუსტი მონაცემები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, მაგრამ წინასწარი შეფასებით, მთლიანი რეგიონული პროდუქტის რეალური ზრდა სულ მცირე 15 პროცენტია.

**— აჭარის რეგიონში უკანასკნელ პერიოდში სამრეწველო სექტორი გაიზარდა. რამდენმა ახალმა საწარმომ დაიწყო ფუნქციონირება და რამდენი ადამიანი დასაქმდა?**

— 2007 წლისთვის ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით ასობით ახალი გადამხდელი დაფიქსირდა.

იხ. 6 გვ.

# დღევანდელობა

● დღეს არსებული პენსია საარსებო მინიმუმის მესამედსაც კი ვერ ფარავს. მაშ, რა ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვაზეა ლაპარაკი?




◎ ეროვნული ვალუტა

# სიკეთეა თუ ბოროტება ლარის რევალვაცია?

*დღეს საქართველოში ერთ-ერთი მწვავე თემაა ლარის კურსის რევალვაცია, რომელიც სულაც არ უწყობს ხელს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. რევალვაცია ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა და ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლებას უკავშირდება, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკაში იგი იშვიათად გამოიყენება. ეს იმით აიხსნება, რომ ქვეყანა, რომელიც ვალუტის რევალვაციას ახორციელებს, არახელსაყრელ მდგომარეობაში იყენებს თავს საგარეო ვაჭრობის, უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და საერთაშორისო ტურიზმის სფეროში. ეს შემდეგით გამოიხატება:*

1. რევალვაცია იწვევს უცხოურ ვალუტაში საექსპორტო საქონლის ფასების ზრდას, ე.ი. აძვირებს ექსპორტს, რითაც აფერხებს მას და ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება იმპორტს, პირიქით, ამცირებს საკუთარ ვალუტაში გამოხატულ ფასებს, რითაც ზრდის მოთხოვნას იმპორტულ საქონელზე, ეს კი სამამულო წარმოების საქონელს არაკონკურენტუნარიანს ხდის;

2. რევალვაციის შედეგად არახელსაყრელი ხდება ქვეყანაში უცხოური კაპიტალის დაბანდება, ვინაიდან ვალუტების გაცვლისას უცხოური ვალუტის მფლობელები ნაკლებ თანხას იღებენ. სამაგიეროდ, კაპიტალის ექსპორტი უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან იქმნება უცხოური ვალუტის შედარებით იაფად ყიდვის შესაძლებლობა;

3. რევალვაცია ამცირებს ქვეყნის შემოსავალს საერთაშორისო ტურიზმის სფეროში, ვინაიდან უცხოელ ტურისტებს ამ ქვეყანაში მოგზაურობა ძვირი უჯდებათ და, პირიქით, სტიმულს აძლევს ადგილობრივ ტურისტებს საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის, რადგან მათთვის უცხოური ვალუტა შედარებით იაფი ხდება. მით უმეტეს, რომ დღეს საქართველოში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულად არის მიჩნეული (რაც არაერთხელ აღმინიშნავს ჩემს სტატიებში, ინტერვიუებსა თუ საჯარო გამოსვლებშიძ და მას ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი.

ამავე დროს ხაზგასმით არის აღსანიშნავი ისიც, რომ ქართველი ერი უცხოელი ტურისტების მომსახურე პერსონალად არ უნდა გადაიქცეს. არადა, ამის მიმანიშნებელი ტენდენცია ნელ-ნელა იკვეთება. რას მივაწეროთ თუნდაც ის გარემოება, რომ საქართველო, 2005 წლის მონაცემებით, ჰუმანური განვითარების ინდექსის (ზოგიერთი ამას ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსს უწოდებსძ მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მთლიან შიგა პროდუქტს(მშპძ მოსახლეობის 1 სულზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და განათლების დონეს, 96-ე ადგილზეა, მაშინ როდესაც 2002 წელს 81-ე ადგილზე იყო.

ოფიციალური მონაცემებით საქართველოში მშპ გაიზარდა, არ შემცირებულა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ე.ი. დაეცა განათლების დონე. ყოველ შემთხვევაში ბევრმა ქვეყანამ გაგვისწრო. როდესაც მსოფლიოში მთავარი აქცენტი ცოდნასა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე კეთდება, საქართველოსთვის არაფრით არ არის ხელსაყრელი განათლების დონის დაცემა, არადა ამის ტენდენცია უკვე აშკარაა.

ქვეყნის სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული მიმართულება განათლების პრიორიტეტულ განვითარებას უნდა დაუკავშირდეს. თუ ქვეყანა არ იქნება ღარიბი, მაშინ სიღარიბეც არ იქნება ისეთი ღრმა, როგორიც დღეს არის საქართველოში. სიღარიბე ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, მისი აბსოლუტური დაძლევა შეუძლებელია, მაგრამ მთავარია, იგი სოციალურად ასატანი იყოს. ამიტომ დღეს ყურადღება უნდა გამახვილდეს სიღატაკის, პაუპერიზმის დაძლევაზე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა. საქართველო გამოირჩევა სოციალური პოლარიზაციის, შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი დონით.

არსებობს სიღარიბის აბსოლუტური და შეფარდებითი ცნებები. აბსოლუტური სიღარიბის განსაზღვრისათვის საჭიროა არსებობისთვის აუცილებელი შემოსავლის მინიმალური დონის განსაზღვრა. უნდა შეფასდეს საკვებზე და სხვა აუცილებელ საქონელზე მინიმალური მოთხოვნილება და მისი შეძენის შესაძლებლობები ყველაზე დაბალი ფასით. შეფარდებითი სიღარიბე განისაზღვრება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის შედარებით. მაგალითად, თუ ინდივიდს აქვს შემოსავალი, რომელიც აღემატება საარსებო მინიმუმს, მაგრამ გაცილებით დაბალია, ვიდრე საზოგადოების სხვა ჯგუფების შემოსავალი, მაშინ ეს ინდივიდი ღარიბთა კატეგორიას მიეკუთვნება. როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სიღარიბის გათვალისწინებით საქართველოში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილია ამ კატეგორიაში მოქცეული.

დღეს არსებული პენსია საარსებო მინიმუმის მესამედსაც კი ვერ ფარავს. მაშ, რა ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვაზეა ლაპარაკი?

მინდა შევეხო კიდევ ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს. სიღარიბის (და არა მხოლოდ ამისძ შესახებ არსებული ზოგიერთი ოფიციალური ინფორმაცია დღეს სინამდვილეს არ ასახავს. სხვადასხვა მანიპულაციებით სამომხმარებლო კალათის და ამის საფუძველზე საარსებო მინიმუმის შემცირება, რასაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურ შემცირებამდე მივყავართ, სიკეთეს ვერ მოგვიტანს. არადა, ჯანსაღი სტატისტიკა სწორი გზის მაჩვენებელია. ჩვენც სწორი გზით უნდა ვიაროთ.


**როზეტა ასათიანი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი


◎ აჭარა

## ვაჟა ბოლქვაძე:

# უმუშევრობის აღმოსაფხვრელად რამდენიმე წელია საჭირო




(მეხუთე გვერდიდან)


შეიქმნა ტურისტული, სავაჭრო, სამშენებლო, სამრეწველო და მომსახურების ობიექტები. ძირითადი დამსაქმებელი ახალი საწარმოებია: საფეიქრო მრეწველობაში — „გეორგიან კარ-სა“; „ჯორჯიან ბაი ფერი“; „ქართუტექსი“; ქიმიურ-ფარმაცევტულ მრეწველობაში — „ბათფარმა“ დასაქმებულთა რიცხვით „ჯენეპლასტი“ (პლასტმასის პროდუქციის წარმოებაძ, „ბათოილი“ (ზეთის წარმოებაძ, წისქვილკომბინატი „ნ.ა.შ-3“, სასტუმრო „ჯორჯიან პალასი“, სასტუმრო „კოლხეთი“ ლიდერობენ.

საერთო ჯამში 2007 წლისთვის აჭარის ეკონომიკაში დაახლოებით 5 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რაც ამ მოცულობის ეკონომიკისთვის რეკორდული მაჩვენებელია. თუმცა გასულმა წლებმა უმუშევრობის მხრივ იმდენი პრობლემა დააგროვა, რომ ამის აღმოსაფხვრელად კიდევ რამდენიმე წლიწადის განმავლობაში ასეთივე ზრდაა საჭირო.

ამასთან, წინასწარი საპროგნოზო მონაცემებით, მრეწველობაში 2007 წელს წარმოებულია დაახლოებით 100 მლნ ლარის პროდუქცია. დარგში ზრდა 2008 წელსა და უახლოეს წლებშიც არანაკლებ 20 პროცენტი იქნება.

**— ბოლო ხანებში გახსნილი საწარმოებიდან ძირითადი აქტივობა რა მიმართულებით შეინიშნება?**

— ძირითადი აქტივობა გვაქვს ტურიზმში, მშენებლობაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სხვადასხვა სფეროში.

**— როგორ აფასებთ აჭარის ტურისტულ პოტენციალს და მიგაჩნიათ თუ არა, რომ სექტორის განვითარებისთვის გარდა კერძო სექტორისა, ხელისუფლებამაც გარკვეული სამუშაო უნდა ჩაატაროს?**

— აჭარა უნიკალური რეგიონია, როგორც თავისი ლანდშაფტით, ისტორიულ-კულტურული კუთხით და, რაც მთავარია, საინტერესო და სტუმართმოყვარე ხალხით. რაც შეეხება ტურისტული სერვისების დაბალ ხარისხს, ეს გადაჭრადი პრობლემაა, რაზეც ხელისუფლება მუშაობს. ტურისტული ინფრასტრუქტურის დახვეწაზე კი ზემოთ უკვე მოგახსენეთ, აქაც სახელმწიფოს წილი მნიშვნელოვანია.

**— აჭარაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირეა, რაც, ცხადია, მსხვილი ფერმერული მეურნეობის განვითარების მძლავრ საშუალებას არ იძლევა. რა ქმედითი ნაბიჯები იგეგმება მსხვილი ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის, რათა ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილება გახდეს შესაძლებელი?**

— აჭარას მცირე და ტერიტორიულად დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქვს, თანაც სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, რომლებიც მიწის მცირე ნაკვეთებს ფლობენ. ასე რომ, მსხვილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება ხშირ შემთხვევაში ფიზიკურად შეუძლებელია. რაც შეეხება დაბლობ ადგილებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ დიდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სოფლის მეურნეობის სამინისტრო რამდენიმე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნაზე მუშაობს.

**— რა განაპირობებს რეგიონის საფინანსო სექტორის ზრდას და როგორია ამის პოტენციალი?**

— საფინანსო სექტორის ზრდას მეტწილად ეკონომიკისა და შესაბამისად, საფინანსო რესურსებზე მოთხოვნის ზრდა განაპირობებს. საფინანსო ინფრასტრუქტურის განვითარება იძლევა საშუალებას, რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსი იქნას მოზიდული რეგიონის და ქვეყნის გარედან, რადგანაც ადგილობრივი შემოსავლების ჯერ კიდევ დაბალი დონე არ იძლევა საშუალებას, საბანკო რესურსები შეივსოს ადგილობრივი დეპოზიტებით.

დღეისათვის აჭარის რეგიონში საქართველოში მოქმედ პრაქტიკულად ყველა მსხვილ ბანკს აქვს ფილიალები. 2008 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებათა მიერ გაცემული სესხების მოცულობამ 293.7 მლნ. ლარი შეადგინა. გაცემული სესხების მოცულობა ერთი წლის განმავლობაში 78 პროცენტით გაიზარდა.

**— ეკონომიკური ზრდის პროცესში რა წილი უკავია სამშენებლო სექტორს და რამდენად არის ის უზრუნველყოფილი პროფესიული კადრებით?**

— ამ მხრივ რეგიონი ნამდვილად განიცდის დეფიციტს. ახლო მომავალში იგეგმება პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების სამთავრობო პროგრამების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მშენებლობაში ადეკვატური სამუშაო ძალის მიწოდებას.

**— კონკრეტულად რომელი პროექტებით შეიძლება აჭარაში უმუშევრობის დონის შემცირება?**

— ბევრი ასეთი პროექტის ჩამოთვლა შეიძლება, მაგალითად: რეგიონში მშენებარე ათეულობით სასტუმრო და საცხოვრებელი სახლი დამატებით დაასაქმებს ასეულობით ადამიანს მშენებლობაში; რამდენიმე ახალი ტექსტილის საწარმო, რომელიც უახლოეს ხანში გაიხსნება, დამატებით რამდენიმე ათას კაცს დაასაქმებს; დამატებით დაასაქმებს ასობით ადამიანს საკონსერვო და კვების მრეწველობის ობიექტები (ნარინჯი, ქართული პროდუქტი, ხუცუბნის საკონსერვო ქარხანაძ; — ფირმა „აჭარენერჯის“ მიერ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა აჭარის მდინარეებზე შექმნის 2000 ახალ სამუშაო ადგილს მშენებლობის პროცესში და 200 ადგილს ექსპლუატაციის დროს.

გარდა ამისა, მუშავდება უამრავი პროექტი, რომელთა განხორციელებითაც რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.


ესაუბრა
**მაია არაბიძე.**
„ჯი-ეიჩ-ენი“



№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

• ვისაც ეკონომიკისა რამე გაეგება, ძნელია წარმოიდგინოს, თითქოს ჩვენი ეროვნული ვალუტა იმდენად მყარია, რომ ამერიკულ დოლარს აგერ უკვე რამდენი წელია თავზედს აწყევლინებს



## ინფორმაცია

### მთავრობამ არ იცის რაში სჭირდება ფული

პარლამენტის წევრი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ევროობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით მთავრობას მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია.

როგორც პაპავამ ჟურნალისტებს განუცხადა, მთავრობას არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, თუ რატომ იღებს და რაში დახარჯავს 500 მილიონი დოლარის ოდენობის საგარეო სესხს, რომლის აღებასაც ევროობლიგაციების ემისიის ფარგლებში გეგმავს.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ რამდენიმე დღის წინათ სატელევიზიო ეთერით განაცხადა, რომ საგარეო ვალს მთავრობა ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით იღებს. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, პარლამენტში საბიუჯეტო განხილვისას კი, ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა თქვა, რომ ეს თანხა მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში იქნება გამოყენებული.

ეს ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საკითხებია, რაც ადასტურებს, რომ მთავრობას წარმოდგენა არა აქვს, თუ რაში სჭირდება ეს ფული, — მიიჩნევს დეპუტატი.

როგორც პაპავამ აღნიშნა, საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით კონტროლის პალატის მიერ მომზადებულ დასკვნაშიც ნათქვამია, რომ მთავრობას ახალი საგარეო ვალის გაზრდა გაწერილი არა აქვს.

პაპავას აინტერესებს, თუ მთავრობამ არ იცის, რაში უნდა დახარჯოს ეს ფული, მაშინ რატომ იწყებს ევროობლიგაციების გამოშვებას, მით უმეტეს მაშინ, როცა მსოფლიოში გლობალური ფინანსური კრიზისის ყველა ნიშანი იკვეთება.

პარლამენტარი ევროობლიგაციების ემისიის პოლიტიკურ მხარეებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ „დღეს, როცა არავინ იცის, თუ რამდენთვიანია ეს მთავრობა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება კიდევ უფრო დიდი შეცდომაა“.

ინტერპრესნიუსი

## ყოფა

# პენსიონერი: პური კიდევ გაძვირდა, მე კი ისევ 14 ლარით ვცხოვრობ!

**ჩემი ძველი მეგობარი, 80 წლის პენსიონერი ნიკა ვარსიმაშვილი გუშინ პურის მაღაზიაში შემხვდა. ბერიკაცი კიდევ უფრო მობერებულა, ნაბიჯიც დამოკლებია. არ შევიმჩნიე, პირიქით, რაც შემეძლო, გავამხნევე.**

— ასაკის მიუხედავად, მშვენივრად გამოიყურები, — ვუთხარი, — პენსია ხომ მოგიმატეს?

— აბა სად მომიმატეს, მე პირადად ისევ 14 ლარით ვცხოვრობ, — შემომჩივლა.

— გეშლება, ნიკა, გეშლება, —ეტყობა, ჩემსავით სკლეროზმა შენც მოგიკაკუნა.

— ეგ შენ გეშლება, — მომახალა უზოდიშოდ, — სკლეროზი არა და ისე სხვა ყველაფერი მაწუხებს.

— აუცილებელი კი არ არის, მაინც და მაინც სკლეროზმა დაგავიწყოს, შე კაცო. ზოგჯერ სხვა უფრო უარესად მოქმედებს.

— რა შორიდან მივლი? მითხარი, რის თქმა გინდა და მორჩი, — მომიჭრა ნიკამ.

— შენ ალბათ გგონია, ისევ შევარდნაძის 14 ლარს იღებ! — ამის თქმა მინდოდა.

— შევარდნაძისას ვიღებ თუ სააკაშვილისას, ისევ 14 ლარს კი ვიღებ და...

— როგორ კაცო, მას შემდეგ პენსია ბარე ოთხჯერაც გაიზარდა, არაფერი გაგიგია?

— მე კი გავიგე, მაგრამ ამ ოხერმა ჯიბემ რომ ვერაფერი გაიგო? მაშინ რასაც ვყიდულობდი, ჩემო, ძმაო, იმ 14 ლარით, ამ გაზრდილი პენსიით ისევ იმდენს ვყიდულობ, ხან კი იმასაც ვერა. აბა მითხარი, პენსია რანაირად გაიზარდა?

— როგორ კაცო, არ ითვლი? — ვცადე შედავება,— სად 14 ლარი და სად კიდევ 55. პრეზიდენტი გვპირდება, აპრილიდან მინიმალური პენსია 70 ლარი გახდებაო, საბოლოოდ კი ის ას დოლარზე ავაო.

— გინდა ორასზე ავიდეს, მაინც 14 ლარი იქნება!

— ასე რატომ გგონია?

— კი არ მგონია, ნამდვილად ასეა. აი ნახე, ადრე ერთი პური მყოფნიდა, ახლა ორ პურს ვყიდულობ და მაინც მშიერი ვრჩები!

— რა ქნას სააკაშვილმა, პურს თუ ყოველდღე აპატარავებენ?

— იმიტომ აპატარავებენ, რომ ხორბლისა და ფქვილის ფასი სისტემატურად მატულობს. აი მარტო ამ ერთ კვირაში პურმა 5 თეთრით მოიმატა. მთავრობა კი სულ გვაიმედებს, ხორბლის ფასის ზრდა ჩვენში პურის ფასზე არ იმოქმედებსო. აი, თუ არ იმოქმედებს, შეხედე ამ პურებს, სამჯერ და მეტად დააპატარავეს, ფასი კი ხუთჯერ მაინც გაზარდეს.

— ფასის გაზრდას, ალბათ, სჯობდა კიდევ დაეპატარავებინათ, —შევაპარე.

— მეც ეგ ვუთხარი, მეპურეს (ხუმრობას ვერ მიმიხვდაძ, მაგრამ მითხრა, მეტი დაპატარავება ველარ შევძელიო. კარგი,ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ამ ხმელა პურის ჭამამ შენ წარმოიდგინე, ყაბზობა დამმართა, — გამანდო დარცხვენილმა.

— მაგას წამალი უნდა მიაშველო, თორემ თავზედს გაწყევლინებს, — ვურჩიე.

— მაგრამ, იცი, რა ღირს წამლები?

— ვიცი, ნიკა, ვიცი, ტაილანდში კი არ ვცხოვრობ.

— ჰოდა, თუ იცი, ისიც გეცოდინება, რომ ეგ შენი გაზრდილი პენსია მარტო წამლების საყიდლად არ მყოფნის და პურის ფულს დამატებითი გზებით ვშოულობ.

— რა გზებით? — დავინტერესდი.



— სახლში ვზივარ გამოკეტილი და ინფლაციას ვემალები. დიდი მგელი ვინმეა, ეგ ინფლაცია, რასაც ჭამს, რასაც არა და აფუჭებს. მაგას რომ პირისპირ ვეჩეხებოდე, გასამმაგებული პენსიაც ვერ მიშველიდა.

ნიკას ნათქვამი გამახსენდა ამ ორი დღის წინათ ძველ ნაცნობს, ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს რომ შევხვდი. თავის დროზე კარგი ურთიერთობა მქონდა და არ მომერიდა, მეკითხა: როგორ ახერხებენ ეროვნულ ბანკში ყველგან მოწანწალე მგელს — ინფლაციას, რომელმაც მთელი ქვეყანა წაახდინა, შიგნით რომ არ უშვებენ? არა, რომ შევარდეს,იქ ჩახლართულ-ჩაკაპიწებულ ხელოვნურ ჯებირს ხომ უმალ ნაცარტუტად აქცევს?

სწორი ხარ, — მითხრა ბატონმა ნოდარმა, — ვისაც ეკონომიკისა რამე გაეგება, ძნელია წარმოიდგინოს, თითქოს ჩვენი ეროვნული ვალუტა იმდენად მყარია, რომ ამერიკულ დოლარს აგერ უკვე რამდენი წელია თავზედს აწყევლინებს. მართალია ხვლიკისფერმა ვალუტამ ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში შეირცხვინა თავი, მაგრამ არც ისეთ სავალალო პოზიციაშია, რომ ქართული ლარი ყოველდღე თავში უკაკუნებდეს და ის მარტო ცრემლებსა ღვრიდეს. აბა მითხარით,რომელი ჭკუათმყოფელი იფიქრებს, რომ საქართველოს ამერიკასა და ევროპაზე ძლიერი ეკონომიკა აქვს?

— აბა რა ხდება რეალურად?

— რეალურად ის ხდება, რომ ეროვნულ ბანკს ხელოვნურად უჭირავს ლარის კურსი დოლართან მიმართებაში, რაც დამღუპველია ქვეყნის ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით კი ექსპორტისთვის, რომელიც ისედაც განუვითარებელია და ასეთი მდგომარეობა მას კიდევ უფრო ადამბლავებს. დიახ, ძალიან ცუდ დღეში არიან ჩვენი ექსპორტიორები, რადგან მათ მიერ გატანილი ქართული პროდუქცია არაკონკურენტულ გარემოში ხვდება. სამაგიეროდ ხელ-ფეხი ეხსნებათ იმპორტიორებს, რომლებიც სულ უფრო თავისუფლად იპყრობენ ბაზარს ჩვენში.

— არის აზრი, რომ ლარის გამყარებით ჩვენი ხალხი იყვლიფება, აი უცხოელები კი ზემოგებას იღებენ. ნუთუ ამას ხელისუფლება ვერ ხედავს, თუ თვითონაც ხელს ითბობს და იმიტომ არის გაყუჩებული?

— რა თქმა უნდა, ლარის გამყარებით მოგებას იღებენ თურქი, ჩინელი, სხვა ქვეყნების იმპორტიორები, ადგილობრივ წარმოებას კი აზრი ეკარგება. აქვე ვიტყვი, რომ ის პროცესი შევარდნაძის დროს დაიწყო და დღესაც წარმატებით გრძელდება. თუ რატომ, ვფიქრობ, დიდი დაფიქრება არ სჭირდება. ყველა მაფიოზური კლანი, რომელიც იმპორტზე და საკუთარი ბაზრის დაქცევაზე მუშაობს, ხელისუფლებასთან დაახლოებული და მისგან ხელდასხმულია. ალბათ ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ენერგეტიკული ტარიფებისადმი მთავრობის გულგრილი დამოკიდებულებაც.

ჩემი მეგობარი პენსიონერი ნიკა ვარსიმაშვილი კი ინფლაციის დამალვით ცდილობს სიცოცხლის გადარჩენას და გაკვირვებულია, რომ მთავრობა ზრდის და ზრდის პენსიებს, მას კი რატომღაც 14 ლარისთვის ვერა და ვერ გადაუბიჯებია!

ოთარ ხუციშვილი

## თხოვნა

# საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

1989 წელს ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციის, მით უმეტეს სოციალური დახმარების კომპლექსის შექმნა სერიოზული ნოვაცია იყო. იმ დროიდან მოყოლებული „კათარზისი“ სოციალურად დაუცველი ფენებისათვის (ხანდაზმულები, ინვალიდები, დევნილები და ა. შ.) უაღრესად მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით საზოგადოების ამ ნაწილის მოთხოვნები, ვიცნობთ მათ ყოფა-ცხოვრებას და საჭიროებებს, რაც შესაძლებელს ხდის, გამოვავლინოთ დროის არსებული პერიოდისათვის მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და, ხშირ შემთხვევაში, გადაუდებელი პრობლემები. ეს კი, თავის მხრივ, „კათარზისის“ ახალი ინიციატივების საფუძველი ხდება.



ჩვენს ქვეყანაში დღეს 5800-ზე მეტი ადამიანია, რომელსაც მხოლოდ ეტლის დახმარებით შეუძლია გადაადგილება. მათ შორის თითქმის თანაბრად არიან ახალგაზრდები და ხანდაზმულები. ამ ადამიანებს, მიუხედავად ასაკისა და მატერიალური მდგომარეობისა, მთელი თავისი ყოფის გატარება დახურულ სივრცეში, უმთავრესად, საკუთარი სახლის კედლებში უწევთ, რადგან მათთვის არც დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებია და არც სპორტული თუ გასართობი დაწესებულებები, მეტიც, ჩვენი ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქები და უბნებიც კი ამ ადამიანების მისაღებად მზად არ არის.

ასე მომწიფდა იდეა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტიპის პანსიონატების შექმნის შესახებ საქართველოს ორ საკურორტო ზონაში. ეს იქნება ეტლით მოსარგებლე ადამიანების ყოველმხრივ საჭიროებაზე მორგებული კომპლექსები ზღვასთან (შეკვეთილი) და მთაში (გუდაური), საქართველოს თვალწარმტაც ადგილებში, სადაც რეაბილიტაცია გეოგრაფიული მედიცინით იქნება გაჯერებული. თავისი მოხერხებულობით, კომფორტით და მომსახურეობით ისინი დააკმაყოფილებენ ამ მიმართულებით არსებულ სტანდარტებს და ხელმისაწვდომი იქნებიან ადამიანთა ფართო ფენებისათვის, რომელთა შორის იგულისხმებიან ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც, უქონელნიც და შეძლებულებიც.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე იქნებ ქვეყნისთვის გამართლებული ყოფილიყო ზემოაღნიშნული კომპლექსებისათვის აუცილებელი მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გამოყოფა. ეს შეუქცევადს გახდიდა ამგვარი კომპლექსების შექმნას, მეტიც: 18 თვეში ისინი უკვე მიიღებდნენ პირველ დამსვენებლებს.

სამართლებრივი და იურიდიული მექანიზმები, რომელთაც მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გამოყოფა იქნება შესაძლებელი, არ არსებობს. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტის კეთილ ნებას. ჩვენი თხოვნაც ამითაა განპირობებული.

ზაურ ალადაშვილი (ლაზარე),
ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდენტი

*წერილს თან ახლავს 3531 ინვალიდის, ხანდაზმულისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქის ხელმოწერა.*

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

**ვერავინ ვერაფრით შეძლებს, ეჭვი შეატანინოს დასავლელებს ორი სამყაროს ამგვარად გამიჯვნის საფუძვლიანობაში, ისევე როგორც ვერავინ აფიქრებინებს, წუთითაც კი ვერ დააშვებინებს მათ აზრს იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთი ადამიანურ ღირებულებათა მიღწეული დონით შეიძლება თუნდაც შეედაროს დასავლეთს**


ივანე მრისხანე.

შედარება

# ვისი წარსულია ბნელი და ვისი ნათელი: დასავლეთის თუ აღმოსავლეთის?

## ფრაგმენტი ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მართლმადიდებლურ და კათოლიკურ-პროტესტანტულ ცივილიზაციათა შეტაკება“

*თემურ მირიანაშვილის წიგნში, ფრაგმენტს რომლიდანაც ვთავაზობთ მკითხველს, მოთხრობილია ისტორია რეპრესიებისა, სახელმწიფო ძალადობისა ადამიანზე, ერთი მხრივ, მართლმადიდებლურ და, მეორე მხრივ, კათოლიკურ-პროტესტანტულ სამყაროებში. ავტორის მტკიცებით, საყოველთაოდ გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ, მართლმადიდებლურმა ცივილიზაციამ ისტორიულად მიაღწია ჰუმანურობის, შემწყნარებლობის, ტოლერანტობის გაცილებით უფრო მაღალ დონეს, ვიდრე კათოლიკურ-პროტესტანტულმა (ანუ დასავლურმა) ცივილიზაციამ. თ. მირიანაშვილის წიგნში გატარებულია აზრი, რომ ამ ცივილიზაციათა მკვეთრად განსხვავებული ბუნებისა და დასავლეთის ექსპანსიონისტური ზრახვების გამო აღმოსავლეთის მიმართ, არსებობს საქრისტიანოს ორი ნაწილის შეჯახების საფრთხე. თუმცა შეჯახება, ავტორის აზრით, არსებითად, უკვე დაწყებულია.*

*„მართლმადიდებლურ და კათოლიკურ-პროტესტანტულ ცივილიზაციათა შეტაკება“ წარმოადგენს გაგრძელებას და შევსებას თ. მირიანაშვილის ადრე გამოცემული წიგნისა „ჩვენი ტრაგედიის ფესვები“ (ამ წიგნის შესახებ ჩვენი გაზეთი წერდა 2004 წელს), რომელშიც განხილულია საბჭოთა კავშირში 20-70-იანი წლების მანძილზე განვითარებული პროცესები. ავტორი არც საბჭოური რეპრესიების შესახებ დამკვიდრებულ აზრს ეთანხმება და თვლის, რომ ფაქტები, აგრეთვე ამ ფაქტთა შემცველი უტყუარი დოკუმენტები ქმნიან სრულიად სხვაგვარ სურათს.*

ივანე ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ წერს, საქართველოში ჯალათის პროფესია არ არსებობდაო, ანუ ისტორიულად ჩვენში არ ყოფილან ადამიანები, ვისაც ხელობად ექნებოდათ სიკვდილმისჯილთა მოკვდინება. გასაოცარი ფაქტია! და ეს ფაქტი, ივანეს აზრით, იმით აიხსნება, რომ ჩვენს სახელმწიფოში სასიკვდილო განაჩენი უაღრესი იშვიათობა იყო. ივანე ჯავახიშვილი სიკვდილით დასჯის მეთოდებსაც განიხილავს და წერს, რომ საქართველოში გავრცელებული იყო მხოლოდ ჩამოხრჩობა და თავის მოკვეთა, ანუ მოკვდინების ყველაზე მსუბუქი და ჰუმანური წესები: სიკვდილის წინ კაცის წამება, რაოდენ საშინელი დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდა მას ჩადენილი, ჩვენში არ ყოფილა მიღებული.

დასავლეთის ქვეყნებში დღეს ურყევად დამკვიდრებულია აზრი, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების, ხალხის ჰუმანურობის და ცივილიზებულობის ერთი უმთავრესი საზომი არის ის, თუ რაოდენ ხშირად ან იშვიათად გამოაქვთ იმ ქვეყანაში სასიკვდილო განაჩენი და რამდენად უმოწყალო თუ ლმობიერი წესით აღასრულებენ. სიკვდილით დასჯის იშვიათობა მიანიშნებს არა მხოლოდ ხელისუფალთა ჰუმანურობაზე, არამედ მოქალაქეთა, მათი უდიდესი უმრავლესობის ადამიანურ ღირსებებზეც; თუ ქვეყანაში ისტორიულად ნაკლები იყო სიკვდილით დასჯის შემთხვევები, ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ამ ქვეყანაში ნაკლებად არსებობდა დანაშაული. პირველყოვლისა, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი. ხოლო დანაშაულის იშვიათობა დასტურია ეკონომიკური კეთილდღეობის, სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთგამტანობის, შემწყნარებლობის, ცალკეულ ადამიანთაგან ერთმანეთისადმი ადამიანურად მოპყრობის.

დასავლეთის ქვეყნებში ის აზრიც სრულიად უეჭველად არის დამკვიდრებული, რომ ჰუმანურობის ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია მათმა ცივილიზაციამ – დასავლურმა ცივილიზაციამ და რომ ეს მტკიცდება არა მხოლოდ თანამედროვე ვითარებით, არამედ ისტორიულადაც. დასავლეთ ევროპელები და ჩრდილოამერიკელები, რასაკვირველია, ვერ უარყოფენ, რომ მათ წარსულში უამრავი ჯოჯოხეთური ფაქტია, მაგრამ ისინი ამგვარად მსჯელობენ: ყველაფერი შედარებითია, აღმოსავლეთთან შედარებით დასავლეთი შემწყნარებლობის, სიკეთის, სიქველის, საერთოდ, ადამიანურობის ყოველგვარი გამოვლინების ეტალონად უნდა მიიჩნეს.


კარლ V.

საკითხავია, სად გადის საზღვარი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის? რომელი ტერიტორიები უნდა მიეკუთვნოს ერთს და რომელი მეორეს? ეს სამყაროები ხომ არავის არასოდეს გაუმიჯნავს სადემარკაციო ზოლით. ამ საკითხზე მხოლოდ ჩვენ, ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის მკვიდრნი ვმსჯელობთ და ვპაექრობთ. დასავლელთათვის ყველაფერი ნათელია, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია: აღმოსავლეთი არის ევროპის ის ქვეყნები, სადაც მართლმადიდებელი ერები ცხოვრობენ, ხოლო დასავლეთი – ქვეყნები დასახლებული კათოლიკეებითა და პროტესტანტებით.

ვერავინ ვერაფრით შეძლებს, ეჭვი შეატანინოს დასავლელებს ორი სამყაროს ამგვარად გამიჯვნის საფუძვლიანობაში, ისევე როგორც ვერავინ აფიქრებინებს, წუთითაც კი ვერ დააშვებინებს მათ აზრს იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთი ადამიანურ ღირებულებათა მიღწეული დონით შეიძლება თუნდაც შეედაროს დასავლეთს. მაგრამ თუ ეს ასეა, ხოლო ჰუმანურობის ერთ-ერთი უმთავრესი საზომი არის სიკვდილით დასჯის სიხშირე – სიიშვიათე და მისი აღსრულების ლმობიერება-ულმობლობა, რით უნდა აიხსნას, რომ ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე საქართველოში სიკვდილით ძალიან იშვიათად სჯიდნენ და თუ მაინც სჯიდნენ – ძალიან ლმობიერი წესით, დასავლეთ ევროპაში კი დღეს მიახლოებითაც ვერ ანგარიშობენ, რამდენი მილიონი ადამიანი (თანაც უფრო მეტად, ქალები და არაიშვიათად ბავშვები, მათ შორის ორი-სამი წლისანიცძ გაჟლიტა ინკვიზიციის სასამართლომ ან „კაროლინამ“ და მისმა მსგავსმა სხვა კანონთა წიგნებმა? ხოლო სიკვდილის წინ ადამიანის წამებაში, ალბათ არც ერთი სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებს არ გამოუვლენიათ კათოლიკეთა და პროტესტანტთა დარი გამომგონებლობა, ფანტაზია და, თუ გნებავთ, მოთმინების უნარიც; ადვილი საქმეა მრავალი საათის, დღის, ზოგჯერ კი კვირების მანძილზე ელოდე, როდის ამოხდის სულს სიკვდილმისჯილს სასტიკი, მაგრამ ნელი წამება!

პასუხი ამ კითხვებზე, ერთი შეხედვით, ადვილი მისაკვლევია. საქართველო არის ძალიან პატარა ქვეყანა, ქართველების ხვედრითი ოდენობა მართლმადიდებლობის მაღიარებელთა შორის 1,5 პროცენტსაც კი არ შეადგენს. ამიტომ მართლმადიდებლური სამყაროს მახასიათებელ თვისებებზე დაფიქრებულ დასავლელ ადამიანს, საქართველო შეიძლება უბრალოდ, გამორჩეს მხედველობიდან, ან არ მიიღოს მხედველობაში მოსახლეობის რიცხობრივი უმნიშვნელობის გამო. მით უმეტეს, რომ მთელს მსოფლიოში მცხოვრებ მართლმადიდებელთაგან ორმოცდაათი პროცენტი რუსია. რუსეთს კი – პირდაპირ უნდა ითქვას – ყველაზე სახელგატეხილი ისტორია აქვს საქრისტიანო სამყაროში. თითქმის არავინ (მათ შორის არც თავად რუსთა უმრავლესობაძ არ დავობს, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოთაგან არც ერთს არ ჰქონია ისეთი ბნელი და, ობსკურანტული წარსული, როგორც რუსეთს.


ჰენრი VIII.

ვიმეორებ, ეს აზრი თითქმის საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია. ალბათ, არც ამის მტკიცება იქნება გადაჭარბებული: ასეთი აზრი მართლმადიდებელ რუსთა ისტორიაზე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საქრისტიანო სამყაროს და არამხოლოდ მას – არასაქრისტიანოსაც. მოდადაც კია ქცეული მსჯელობა ძველი (და არცთუ მაინცდამაინც ძველიძ რუსული სინამდვილის, ყოფის შავბნელ და ველურ ხასიათზე. რად ღირს თუნდაც ივანე მრისხანე! ყველა დროის ქრისტიან ხელმწიფეთაგან ყველაზე სისხლისმსმელ სადისტად შერაცხული. ისტორიკოსებს გამოთვლილი აქვთ, თავისი ორმოცწლიანი მეფობის ყოველ წელიწადს იგი საშუალოდ ას კაცს აგზავნიდა ეშაფოტზე. ივანე მრისხანის „იმიჯი“, ისევე, როგორც საზოგადოდ რუსეთის ისტორიისა, შეუვალი და ურყევია: მის დარი ჯალათი თუ საერთოდ ისტორიას არა, საქრისტიანოს ისტორიას თურმე ნამდვილად არ ახსოვს!

მაგრამ საქმე ის არის, რომ ივანე მრისხანის ეპოქაში ცხოვრობდა იმპერატორი კარლ V, რომელმაც გერმანიაში ასოცი ათასი ადამიანი დასაჯა სიკვდილით, თავის უმცროს თანამედროვეზე – რუსეთის მეფეზე ოცდაათჯერ მეტი! კარლ მეხუთემ დაახლოებით ოცდაათი წელი იმეფა. მაშასადამე, წელიწადში თითქმის ოთხი ათას კაცს გზავნიდა ეშაფოტზე, ანუ ყოველწლიურად იმდენს, რამდენიც მთელი თავისი ტახტზე ჯდომის მანძილზე გაგზავნა ივანე მრისხანემ. მაგრამ კარლ მეხუთეს რატომღაც არ აქვს ივანე მრისხანისებრ საშინელი სახელი. ისტორიკოსთა წრის გარეთ იგი თითქმის მივიწყებულია. რიგით ადამიანთაგან დღეს იშვიათს თუ სმენია რაიმე მის შესახებ. მისგან განსხვავებით, ინგლისის მეფე ჰენრი მერვე, ივანე მრისხანის კიდევ ერთი ასაკით უფროსი თანამედროვე, დღემდე ინარჩუნებს „პოპულარობას“. მასზე ბევრს წერენ, იღებენ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. მაგრამ არც მას დაუმკვიდრდა, ივანე მრისხანის მსგავსად, ჯალათისა და სადისტის სახელი, თუმცა მანაც რუს კოლეგებზე ბევრჯერ მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე – დაახლოებით 70 ათასს. ჰენრი მერვის უმცროსმა ასულმა და მემკვიდრემ, ელისაბედ პირველმა 20 ათასამდე ადამიანი დაასჯევინა სიკვდილით. იგი პროგრესულ მეფედ შევიდა ისტორიაში. ელისაბედ პირველის რეპრესიები დღემდე მართლდება მის წინაშე მდგომი დიადი სახელმწიფოებრივი ამოცანებით.

ელისაბედის დამ, ჰენრი მერვის უფროსმა ასულმა, მარიამ პირველმა თავისი ძალიან ხანმოკლე მეფობის ხანს მოასწრო სიკვდილით დაესაჯა ივანე მრისხანეზე გაცილებით მეტი ადამიანი. მაგრამ მარიამ პირველი (ისევე როგორც მისი მეტსახელი – „სისხლიანი“ძ დღეს მივიწყებულია. პირველი ადგილი მსოფლიოს ყველაზე სისხლიანი ჯალათების არასაპატიო კვარცხლბეკზე ივანე მრისხანეს რჩება.

კარლ V სიცოცხლის მიწურულს გადადგა, უარყო ტახტი და ბერად აღიკვეცა, მაგრამ დარჩა მის მიერ შექმნილი წიგნი „კაროლინა“ – კანონთა კრებული, რომელსაც მომავალი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში, XVIII საუკუნის მიწურულამდე ეყრდნობოდა კათოლიკური და პროტესტანტული სისხლის სამართალი და რომელიც პრაქტიკულად ყველა დანაშაულისთვის ერთადერთ სასჯელს ითვალისწინებდა – სიკვდილს მხეცური წამებით. XVII საუკუნეში ერთმა გერმანელმა მოსამართლემ, გვარად ფონ კარპცოვმა, „კაროლინის“ საფუძველზე, ოცი ათასი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. ყოველდღე რომ თითო ადამიანისთვის მიესაჯა სიკვდილი ფონ კარპცოვს უქმეებზე დაუსვენებლად, ორმოცდათვრამეტი წელიწადი დასჭირდებოდა ამდენი ხალხის ეშაფოტზე ასაყვანად.

...ორი ათწლეულის წინათ, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, როცა ყველაფერი დასავლურისადმი კერპთაყვანისმცემლური ქედისმოდრეკით დაავადდა საქართველო და არამხოლოდ საქართველო, მთელი საბჭოთა კავშირიც, სოციალისტური ევროპაც, როცა ყველას ან თითქმის ყველას გვწამდა, რომ დასავლეთში არ არსებობს არაფერი არაიდეალური და აწმყოთიც, წარსულითაც ის სამყაროს მიბაძვისა და შთაგონების ერთადერთი წყაროა, ამ სტრიქონების ავტორს რამდენიმე კითხვა აეკვიატა: რით აიხსნება ის პარადოქსი, რომ ივანე მრისხანეს აქვს ყველაზე სისხლიანი მეფის სახელი, თუმცა, დასავლელმა მეფეებმა – ზემოხსენებულებმაც და მრავალმა სხვამაც – შეუდარებლად მეტი სისხლი დაღვარეს? ან ის პარადოქსი რით უნდა აიხსნას, რომ ადამიანის წამების „ხელოვნება“ კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა „სრულყოფილების“ უმაღლეს ზღვრამდე აიყვანეს, ბრალი კი ამაშიც უფრო მართლმადიდებელ ხელისუფლებს ედებათ, რომელნიც მხოლოდ უნიჭო და უფანტაზიო ეპიგან-პლაგიატორები იყვნენ თავიანთი დასავლელი კოლეგების, აგრეთვე ინკვიზიციის მესვეურებისა?..

XX საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ისტორიული ნაშრომების, სახელმძღვანელოების და ენციკლოპედიების თვალიერებამ კიდევ ერთი პარადოქსული კანონზომიერება დამანახა. ბოლო დროს ენციკლოპედიებში არაფერია ნათქვამი კარლ მეხუთის, ჰენრი მერვის და მრავალი სხვა მათნაირი კათოლიკე თუ პროტესტანტი მეფის მიერ დაღვრილ სისხლზე. ხოლო ისტორიული გამოკვლევები და სახელმძღვანელოები მკითხველს უხსნიან, რომ სისხლისღვრა, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ დასავლელი მეფეები იბრძოდნენ სეპარატიზმის, სახელმწიფო გადატრიალებებისა და დესტაბილიზაციის წინააღმდეგ. ბრძოლას კი, სამწუხაროდ, ახლავს სისხლისღვრა... ვეცნობოდი ამ მასალას და მებადებოდა კითხვა: ნუთუ მართლმადიდებელ ხელისუფალთა წინაშე არასდროს მდგარა ამგვარი პრობლემები? ნუთუ ისინი მხოლოდ და მხოლოდ გვრიტებივით უწყინარ და უმანკო ხალხს ჟლეტდნენ?

ეს კითხვაც მებადებოდა: რატომ გაქრა ბოლო ათწლეულებში გამოცემული ენციკლოპედიებიდან ბენედიქტ ფონ კარპცოვის ხსენება? თითქოს არასდროს ეარსებოს მას ამქვეყნად და არც, ალბათ, ყველა დროის სამართალწარმოების რეკორდი დაემყარებინოს ოცი ათასი სასიკვდილო განაჩენის გამოტანით.

დიდხანს ვერ მივაკვლიე ამ პარადოქსების მიზეზს. ამიტომ უბრალო გაუგებრობის შედეგად ჩავთვალე. მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ „პარადოქსს“ დიდი პოლიტიკა სდებია სარჩულად, პროპაგანდის საათივით აწყობილი და ძალიან შორსგამიზნული მექანიზმისგან ყოფილა წარმოშობილი.

**თემურ მირიანაშვილი.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

# პრობლემა

● დღეს უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე საერთოდ ალარ იკითხება ფილოსოფია, რაც მთავარია, ილუპება ჩემი პედაგოგების დიდი შრომით მიღებული ის შედეგები, რითაც აღფრთოვანებული დარჩა იმ ხანებში საქართველოში სტუმრად ჩამოსული ნილს ბორი



## ◎ არის ასეთი აზრიც

***ჩვენმა ეპოქამ წარმოშვა ფასეულობათა ძლიერი კონფლიქტი და მოითხოვა ისეთ ცნებათა ახლებური ანალიზი, როგორიცაა თავისუფლება, აუცილებლობა, თანასწორობა, დემოკრატია და სამართლიანობა. იმისთვის კი, რომ პოლიტიკამ, როგორც ცხოვრებაში დისციპლინის შეტანის ტრადიციამ, მიიღოს სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების დღეისთვის მისაღები ფორმა, საჭირო და აუცილებელია ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირი. საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს ერთიც, მეორეც და მესამეც, მაგრამ გვყავს გიგი თევზაძე, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ მთავრობამ ჩააბარა ერთად აღებული რამდენიმე გაერთიანებული უმაღლესი სასწავლებელი და საბოლოოდ ამით განსაზღვრა კიდეც მეცნიერული აზროვნების დონე საქართველოში.***

განათლების სისტემაში გიგი თევზაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ რეფორმებს შეეწირა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ბევრ სხვა რამესთან ერთად დაიხურა ფიზიკის ფაკულტეტზე წლების მანძილზე უდიდესი შრომით ჩამოყალიბებული მეცნიერული ფილოსოფიის დარგი, რაც ყველაზე აქტუალური სფეროა დღეს ფილოსოფიაში. სამაგიეროდ მისივე ძალისხმევით უნივერსიტეტში მეცნიერული მსოფლმხედველობა შეიცვალა ირაციონალური ხასიათის პოსტმოდერნისტული ლაყბობით, სადაც უარყოფილია მეცნიერება, ზნეობა და სილამაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამით გიგი თევზაძემ „ღირსეულად“ გააგრძელა ზოგიერთი წინამორბედის ხაზი, რომელმაც ფაქტობრივად დაღუპა ფილოსოფიური აზროვნების კულტურა საქართველოში და განადგურდა ჩვენში დიალექტიკის პრობლემათა კვლევის ის უდიდესი ტრადიცია, რასაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა ბრწყინვალე ფილოსოფიურმა სკოლამ (კ.ბაქრაძე, ს.წერეთელი, ზ.კაკაბაძე, ლ. გოკიელი და სხვ.ძ, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეცნიერებასთან.

სწორედ ამ მჭიდრო კავშირის შედეგი იყო ის, რომ ფიზიკის ფაკულტეტის თეორიული სპეციალობის დამთავრების შემდეგ ბატონ მათე მირიანაშვილისგან მივიღე წინადადება ბატონ ბაქრაძისა და მისი ხელმძღვანელობით სწავლა გამეგრძელებინა ასპირანტურაში მეცნიერების ფილოსოფიური პრობლემების ხაზით. ასე ჩაეყარა საფუძველი ფიზიკის ფაკულტეტზე ფილოსოფიის პროფილის მიხედვით სწავლებას და დამყარდა კავშირი მოსკოვის და ლენინგრადის უნივერსიტეტებთან – პირადად მე მოვამზადე საავტორო სალექციო კურსები მეცნიერების ფილოსოფიურ პრობლემებზე.

დღეს უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე საერთოდ ალარ იკითხება ფილოსოფია, რაც მთავარია, ილუპება ჩემი პედაგოგების დიდი შრომით მიღებული ის შედეგები, რითაც აღფრთოვანებული დარჩა იმ ხანებში საქართველოში სტუმრად ჩამოსული ნილს ბორი.

# დემოკრატიის ფორმირება არ შეიძლება სხვა ქვეყნებიდან მიღებული საეჭვო გზავნილებისა და დიქტატის მიხედვით

სხვათა შორის, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ თავის დროზე მეცნიერული ფილოსოფიის ხაზი ზოგიერთთა შემოტევებისგან (რომელნიც ყოველთვის მწყრალად იყვნენ განწყობილი მეცნიერების მიმართძ გადაარჩინა ედუარდ შევარდნაძემ (ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე მუშაობის პერიოდშიძ პირადი მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით. მაშინ მან თანამდებობებიდან გაათავისუფლა იმ ჯგუფის წევრები, თუმცა იქვე დასძინა, ვითარება ქვეყანაში გაცილებით რთულია და მდგომარეობა ამით ვერ გამოსწორდებაო, ამაში ის, სამწუხაროდ, სრულიად მართალი აღმოჩნდა.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ შემდგომ, მისი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობის პერიოდში, ეს ჯგუფი საოცრად გაიშალა და გაძლიერდა. სრულიად არაკონსტრუქციული და არადემოკრატიული გზებით ჩაიგდო ხელში მონოპოლია მეცნიერების სფეროზე („სეს“-ი – სწავლულ ექსპერტთა საბჭოძ და აშკარად კანონდარღვევით, ანტიმეცნიერულად და ანტიეროვნულად წარმართა სამეცნიერო-საატესტაციო სამუშაოების მართვა, კოორდინაცია და ექსპერტიზა. ამაზე თავის დროზე ბევრი ითქვა და დაიწერა, საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომაც კი განიხილა; მაგრამ მოახერხეს და თავისი საქმიანობა, გაუგებარი არგუმენტაციით, ქვეყნის პრეზიდენტ ე. შევარდნაძის უშუალო დაქვემდებარებაში მოაქციეს და ამით აბსოლუტურად დაბლოკეს ყველა საჩივარი. ასე აღმოჩნდა მაშინ ე.შევარდნაძე, ნებსით თუ უნებლიეთ, მათი უკანონო მოქმედებების „კრიშა“.

მახსოვს, იმ პერიოდში ერთერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ე.შევარდნაძის ფოტო, სადაც იგი შეწუხებული სახით აწერდა ხელს რაღაც დოკუმენტს. ქვემოთ კი ეწერა: „ამას რო ხელი მოვაწერო, მე არაფერი მამივა?“ და მე მივხვდი მაშინ, რომ იმ არეულ ვითარებაში უაზრო იყო იმ ხალხის მაქინაციებზე შევარდნაძისთვის რაიმე პასუხის მოთხოვნა, მას, უბრალოდ, არავინ არ შეიყვანდა ამ საქმის კურსში. ასე, მაგალითად, მახსოვს, როდესაც სეს-ის წესდების ოფიციალურ ვარიანტში, რასაც ხელს აწერდა ქვეყნის პრეზიდენტი (ე. შევარდნაძეძ, არ შედიოდა პუნქტი სამეცნიერო პროცესთა მართვის შესახებ, იმ ჯგუფს კი საოცრად სურდა სწორედ სამეცნიერო პროცესთა მართვა. მაშინ მათ ისე შეიტანეს ეს პუნქტი დებულებაში სპეციალური დანართის სახით, რომ არც პრეზიდენტმა და არც დიდი საბჭოს წევრებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ეს პროცესი იმდენად მოეწონათ შემდეგ, რომ ყოველ ორ თვეში ერთხელ და ზოგჯერ უფრო ხშირადაც კი წესდება „მდიდრდებოდა“ ამგვარი დანართებით ისე, რომ ხშირად კურიოზულ ფაქტებთანაც კი გვქონდა საქმე.

ყოველივე აქედან გამომდინარე, როდესაც განათლების რეფორმა დაიწყო, მე პირველი მივესალმე მას წერილით: „მონოპოლიის ყველაზე საშიში ფორმაა მონოპოლია ინტელექტზე“ („24 საათი“, 2004 წ.ძ, მაგრამ, სამწუხაროდ, „რეფორმები“ განათლების სისტემაში ისე წარიმართა, რომ კიდევ უფრო აირია ვითარება მეცნიერებაში და გაძლიერდა მონოპოლია.

ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო, და ამიტომაც პირადად მე სრულიადაც აღარ მიკვირს დღეს ანტიეროვნულ იდეოლოგიაზე აღზრდილი და შემდეგ მთლიანად ამერიკანიზებული „თავისუფლების ინსტიტუტის“ მოქმედება, რომელიც კონტროლის ფუნქციიდან დიდი ხანია გადავიდა „კანონშემოქმედებით მუშაობაზე“, უცერემონიოდ ერევა პარლამენტის საქმიანობაში და მუდმივად ახდენს საზოგადოების ცნობიერების ზომბირებას ანტისახელმწიფოებრივი, ფარული ინფორმაციული დოგმებით, რითაც ქვეყანა საბოლოოდ იქცა საზღვარგარეთის სხვადასხვა ჯურის სპეცსამსახურების სათარეშო არედ.

მართალია, დემოკრატია არის უფლება პირად ცხოვრებაზე და საზოგადოებრივი პროგრესისათვის აუცილებელია თავისუფლება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პლურალიზმი დაუშვებელია გაცნობიერებული პასუხისმგებლობის გარეშე და ასევე დაუშვებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ფორმირება ხდებოდეს სხვა ქვეყნებიდან მიღებული საეჭვო გზავნილებისა და დიქტატის მიხედვით.

რამდენიმე ხნის წინათ, როდესაც გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილისა და სხვათა მკვლელობებით შეძრწუნებული და 7 ნოემბერს ნაცემ-ნაბეგვი ხალხი პირდაღებული და პირში ჩალაგამოვლებული ვისმენდით 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და გულწრფელად ვნანობდით, რატომ შევიწუხეთ ტყუილად თავი და რატომ წავედით არჩევნებზეო, ტელეარხ „კავკასიის“ წამყვანმა დავით აქუბარდიამ შესაშური გულუბრყვილობით და გაოცებით თქვა: „თქვენ წარმოგიდგენიათ, ყოველივე ამისათვის საკანონმდებლო ბაზა წინასწარ მოუმზადებია პარლამენტს“.

ამ პატიოსან კაცს მინდა ვუთხრა, რომ საკანონმდებლო ბაზით ამგვარი ჟონგლირება „ტრადიციული“ მეთოდია და ვიდრე ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების ბრენდი გიგი თევზაძე იქნება, გლამურული აზროვნების ერთადერთი ნიმუში კი „თავისუფლების ინსტიტუტი“, კიდევ ბევრ უფრო უარესსა და უკანონოს უნდა ველოდეთ.

**გილდა სიხარულიძე**

## ◎ ინფორმაცია

### სუბელიანი იმერეთში დევნილებს სტუმრობს

**სახელმწიფო მინისტრმა ლტოლვილთა და განსახლების საკითხებში კობა სუბელიანმა ქუთაისში, მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისაგან დავალება მიიღო — განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმერეთში მცხოვრებ დევნილებს, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ.**

**სახელმწიფო მინისტრი დავალების შესრულებას იმავე დღეს შეუდგა და სამტრედიასა და ქუთაისში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდა.**



**კობა სუბელიანმა იძულებით გადაადგილებულთა პრობლემები მოისმინა, რომლის შემდეგ მათ კომუნალური პირობების გაუმჯობესებას დაჰპირდა.**

**სახელმწიფო მინისტრი ქუთაისში კიდევ 3 დღეს დარჩება და დევნილთა პრობლემებს სხვა რაიონებშიც გაეცნობა.**

### პატარკაციშვილის ოჯახი ახალ პარტიას აფუძნებს

**შესაძლოა უახლოეს დღეებში ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ინიციატივით, ახალი პარტია დაფუძნდეს. აღნიშნულ ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს პატარკაციშვილის თანაგუნდელი რატი შარტავაც. იგი აღნიშნავს, რომ პირადად იგი ოჯახის თანხმობის გარეშე ყოველგვარი პარტიის შექმნის წინააღმდეგია, თუმცა მათი ნებართვის შემთხვევაში ახალი პარტიის დაფუძნება შესაძლებელია.**

**შარტავას თქმით, ახალი პარტია „ჩვენი საქართველოსათვის“ ბაზაზე არ შეიქმნება და სავარაუდოდ, მასში ახალი სახეები გაწევრდებიან.**

### „ქრისტიან-დემოკრატები“ ჯერჯერობით თავს იკავებენ

**„ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა ეროვნული საბჭოს მიერ დაგეგმილ აქციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კონსულტაციებს მართავს. ამის შესახებ მოძრაობის წევრმა გიორგი ახვლედიანმა განაცხადა.**

**ჩვენ ოპოზიციის მიერ გამართულ ყველა საპროტესტო აქციაში მონაწილეობას აქტიურად ვიღებდით, თუმცა შევუერთდებით თუ არა ეროვნული საბჭოს ახალ მოთხოვნას, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა გვაქვს. ვფიქრობ, ეს საკითხი ყველა პოლიტიკური ძალის ლიდერებთან სერიოზულ, დეტალურ კონსულტაციებს მოითხოვს, — განაცხადა ახვლედიანმა.**

### გაიყიდა ფოთის წისქვილკომბინატის აქციები

**ფოთის წისქვილკომბინატის აქციების მსხვილი პაკეტი საქართველოს საფონდო ბირჟაზე გაიყიდა.**

**როგორც ბირჟიდან იტყობინებიან, შპს „ფოთის წისქვილის კომბინატის“ აქციებზე არასაბირჟო გარიგება დაფიქსირდა. გაიყიდა ქარხნის 543 848 აქცია, რომელთა ღირებულებამ 2 692 047 ლარი შეადგინა.**

**1 აქციის ფასმა 4,95 ლარი შეადგინა, როცა ქარხნის აქციებზე შემდგარი ბოლო გარიგებისას (2007 წლის ოქტომბერი) 1 აქცია 1,65 ლარი ღირდა.**

**ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი**

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● არსებობს ერთგვარი პრეტენზიებიც ალიანსისადმი, რომელიც სათანადოდ არ ავლენს ისეთ მხარდაჭერას, რომელიც თავის დროზე ბალტიის ქვეყნებს, უნგრეთს და პოლონეთს გაუწიეს



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## უკრაინა და საქართველო: ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები

**უკრაინაც და საქართველოც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები არიან. დღეს ეს ქვეყნები დამოუკიდებლები არიან და ნატოში და ევროკავშირში შესვლა სურთ. თუმცა გაწევრიანების პერსპექტივა ერთნაირი როდია.**

უკრაინის ლიდერები ლავირებას ცდილობენ. მაგალითად იანვრის შუა რიცხვებში საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ.ოგრიზკომ ნატოს გენერალურ მდივანს დე ჰოოფ სხეფერს გადასცა ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერდნენ უკრაინის პრეზიდენტი, უმაღლესი რადის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი. განცხადება შეიცავდა თხოვნას, რომ უკრაინა შეუერთონ ნატოში წევრობის გეგმას. მალე, 25 იანვარს, უკრაინის ოპოზიციამ პარლამენტის სხდომა ჩაშალა. ორმა ათეულმა დეპუტატმა დაბლოკა სპიკერის სამუშაო ადგილი, ხოლო პლენარული სხდომების დარბაზში შესასვლელი სკამებით ჩახერგეს. ამ საპროტესტო მოქმედებას თან ახლდა პლაკატები: „არა ნატოს!“, „ნატო – არასოდეს!“, „ნატო, შორს შავი ზღვისგან“!

რუსეთმა საჭიროდ ჩათვალა გაეფრთხილებინა უკრაინა, რომ ალიანსთან მის შეერთებას უარყოფითი შედეგები მოჰყვება ორმხრივი ურთიერთობის თვალსაზრისით.

ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ნატოში შესვლის თაობაზე უკრაინის სამი უმაღლესი ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილმა წერილმა განხეთქილება შეიტანა უკრაინის საზოგადოებაში. ტიმოშენკომ ისიც აღნიშნა, რომ საჭიროა ევოლუციის გზით სვლა, ფართო საინფორმაციო კამპანიის გაშლა, როგორც თავად ალიანსის შესახებ, ისე მასში უკრაინის შესვლის მიზნების შესახებ.

ი.ტიმოშენკო, პრეზიდენტი ვ.იუშჩენკო და უმაღლესი რადის თავმჯდომარე ა.იაცენიუკი ხაზს უსვამენ, რომ ნატოში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული ეროვნული რეფერენდუმის გარეშე. უკრაინის ოპოზიცია სხვადასხვაგვარ დეზინფორმაციას მიმართავს, საბჭოთა საზოგადოებისდროინდელ შიშსაც კი ახსენებს ხალხს. ამიტომ საჭიროა განიხილონ პლებისციტის საკითხი, რათა ოპოზიციამ ვერ შეძლოს რადის მუშაობის დესტაბილიზაცია. საინტერესოა ის, რომ ნატოსთან უკრაინის თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც ვ.იანუკოვიჩის, ფაქტობრივად ალიანსთან დაახლოების მოწინააღმდეგის მთავრობამ დაამტკიცა, არ განსხვავდება ნატოში უკრაინის წევრობის გეგმისგან. ერთი სიტყვით, უკრაინაში გააფთრებული საინფორმაციო ბრძოლა მიმდინარეობს, ხოლო ნატოს საკითხს შიდაპოლიტიკური მიზნებით იყენებენ.

5 იანვარს, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად საქართველომ ნატოში წევრობის შესახებ რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობის 72,5 პროცენტმა მხარი დაუჭირა ალიანსში შესვლას. 20 იანვარს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ხალხმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზა აირჩია, ამიტომ საქართველო ესწრაფვის ნატოსა და ევროკავშირში შესვლას. ამგვარად საქართველოში შიდაპოლიტიკური სიტუაცია უფრო გარკვეულია, ვიდრე უკრაინაში. თუმცა ნატოსკენ მიმავალ გზაზე წინსვლაში საქართველოს შეუძლია ხელი შეუშალოს მისმა ურთიერთობამ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. აგრეთვე რუსეთთან არსებულმა პრობლემებმა და იმან, რომ დასავლეთს ეჭვი ეპარება ქართული დემოკრატიის ხარისხში.

უკრაინაში საკმარისი არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნატოში შესვლის გეგმის პოზიციების 90 პროცენტი ეხება შიდა რეფორმების აუცილებლობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში, ლეგიტიმურ და სამეურნეო რეფორმებს. უკრაინელ პოლიტიკოსთა ახალი თაობა ალიანსში შესვლას ქვეყნის საზოგადოების მოდერნიზაციის შესაძლებლობად მიიჩნევს.

არსებობს ერთგვარი პრეტენზიებიც ალიანსისადმი, რომელიც სათანადოდ არ ავლენს ისეთ მხარდაჭერას, რომელიც თავის დროზე ბალტიის ქვეყნებს, უნგრეთს და პოლონეთს გაუწიეს.

რა თქმა უნდა, დავა და დისკუსია ჯერ კიდევ ბევრი იქნება. მიუხედავად იმ მხარდაჭერისა, რომელიც დავოსის ფორუმზე კიდევ ერთხელ გამოაცხადა კონდოლიზა რაისმა, როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ნატოს სხვა წევრები, როგორც ჩანს, დიდად კმაყოფილნი არ არიან იმით, რომ უკრაინა სულ უფრო დამაჯერებლად აცხადებს თავის პრეტენზიებს. ამასთან დაკავშირებით ისევ რუსეთს იხსენებენ, რომელიც ყოველთვის მკვეთრად ილაშქრებდა აღმოსავლეთში ნატოს გაფართოების წინააღმდეგ. თუმცა, კიევს მაინც უკეთესის იმედი აქვს.

რაც შეეხება საქართველოს, შვეიცარიის გაზეთ „ლე ტემპს“ მეტად ეეჭვება, რომ ბუქარესტში საქართველო მიიღებს ნატოში შესვლის გეგმასთან მიერთების წინადადებას. ჯერ ერთი, უცნობია, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რუსეთი როგორ იმოქმედებს ნატოს სამიტზე. მეორე: ის შემდგარი ფაქტი, რომ კოსოვომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, უეჭველად პრეცედენტს წარმოადგენს. აქაოდა, თუ კოსოვოსთვის შეიძლება, რატომ არ შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის? როგორც „ლე ტემპს“ მიაჩნია, ნატოს შეუძლია თბილისს დაცდისათვის მოუწოდოს. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, კიევსაც იგივეს შესთავაზებენ.

უკრაინისა და საქართველოს ახალ პოლიტიკურ ელიტას შეუპოვარი სიჯიუტით მიჰყავს თავისი ქვეყნები დასავლეთის მიმართულებით. ახლა უკვე ალიანსის გადასაწყვეტია, რამდენ ხანს გამოსცდიან ამ სიჯიუტესა და მოთმინებას.

**არუნას სპრაუნიუსი**

GEO POLITIKA

## საეჭვოა საქართველოს, საზღვარგარეთმა უშველოს

**საქართველო ვერა და ვერ აღწევს თავს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან. გასულ სამშაბათს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დახურულ კარს მიღმა გამართა თათბირი, რომელზეც იმსჯელეს მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის გზებზე. სიმპტომატურია, რომ თათბირზე შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ტეფტიც მიიწვიეს.**

პრეზიდენტის პროგრამა 50 დღეში სიღატაკის დაძლევის თაობაზე ჩაიშალა. წლის დამდეგიდან ინფლაციის დონე 12 პროცენტს მიუახლოვდა, სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის ფასები სწრაფად მატულობს და ძნელად ხელმისაწვდომი ხდება მოქალაქეთა უმრავლესობისათვის. ხელისუფლება ამას ენერგომატარებლებისა და მარცვლეულის მსოფლიო ფასების ზრდის შედეგებით ხსნიან. ამასთან შარშანდელი ინფლაცია, რომელიც 14 პროცენტს შეადგენდა, ამავე მიზეზებით აიხსნებოდა, აგრეთვე ატმის ფასების ზრდით, რამაც ეკონომიკაში სრულიად გაუცნობიერებელი ადამიანებიც კი გააცინა.

სალი აზრის ფარგლებში არ ჯდება არც ლარის უმიზეზო განმტკიცება დოლარის მიმართ, როცა ამავდროულად ეცემა მისი მყიდველუნარიანობა. სტატისტიკით მანიპულირება საქართველოს მთელი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საერთოდაც დამახასიათებელია, რომელიც, სააკაშვილის ხმამაღალი განცხადებების თანახმად, ლამის საუკეთესოა მსოფლიოში. თუმცა, ეს რატომღაც არანაირად არ აისახება ხალხის ცხოვრების დონეზე.

ხელისუფლება ცდილობს ხალხის გული მოიგოს ერთჯერადი და დამამცირებელი წყალობით, განსაკუთრებით ეს ეხება ღატაკ კატეგორიებს, მოხუცებს, ინვალიდებს, ქრონიკულ ავადმყოფებს. ზამთარში მათ მისცეს 50-ლარიანი ვაუჩერები ელექტროენერგიისა და გაზისათვის, აგრეთვე 25-ლარიანი ვაუჩერები წამლებისთვის. ამასთან სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი ვალდებულება და ბიუჯეტიდან არ აანაზღაურა სამედიცინო ვაუჩერები. ფარმაცევტულმა ფირმებმა კი, ზარალის ასანაზღაურებლად, ფასები გაზარდეს.



ჯერ კიდევ უფრო დამაბნეველი სიტუაციაა ელექტროენერგიის ვაუჩერებთან დაკავშირებით. 2006 წლის 15 მაისს ენერგეტიკის რეგულირების ეროვნულმა კომისიამ მიიღო ნორმატიული აქტი, რომლის თანახმადაც დაადგინა ელექტროენერგიის სამსაფეხურიანი ანაზღაურება მოხმარებული რაოდენობის მიხედვით: 100 კილოვატამდე, 101– დან 300 კილოვატამდე და ზემოთ. ენერგოსადისტრიბუციო კომპანიები, არადა მთელ საქართველოში სამი ასეთი კომპანიაა, დროებით სიძნელეებს იმიზეზებენ და ყველაფერს თავის სასარგებლოდ თვლიან: თუ აბონენტმა 102 კილოვატი დახარჯა, მან უკვე გაზრდილი ტარიფით უნდა გადაიხადოს. ენერგოკომისიის მიერ ნორმატიული აქტის ასეთმა თვითნებურმა გაგებამ მნიშვნელოვნად გააუფასურა ვაუჩერების ღირებულება. ქვეყნის ეკონომიკას მძიმედ აწვება უმუშევრობაც, რომელიც განაპირობებს შრომის ანაზღაურების დაბალ დონეს. წელს დაგეგმილია 25-დან 60-წლამდე ასაკის 110 ათასზე მეტი კაცის პროფესიული მომზადების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა. ეს ადამიანები გადამზადების სამთვიან კურსს გაივლიან სხვადასხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. პროგრამის მონაწილეებს სახელმწიფო სამი თვის განმავლობაში გადაუხდის 200-ლარიან სტიპენდიას. საქართველოში მამაკაცებისთვის საპენსიო ასაკი 65 წელია, მაშასადამე პროგრამაში მონაწილეობას ვერ შეძლებს ის, ვინც 65 წელზე მეტი ხნისაა. მაგრამ პროფესიული გადამზადების შედეგად ყველა როდი მიიღებს სამუშაოს – ამას შარშანდელი ანალოგიური პროგრამის შედეგები მოწმობს. მთავრობის ქვეყნის განვითარების ხუთწლიანი გეგმა დამაიმედებელ პერსპექტივებს შეიცავს, მაგრამ სერიოზული პრობლემაა საკუთარი ფინანსური რესურსების არარსებობა. ამიტომ საქართველომ ინტენსიური, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგო მოლაპარაკებას აწარმოებს დასავლეთის ბანკებთან 500 მილიონი დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების ემისიის შესახებ. ფაქტობრივად ეს საკრედიტო სესხია, რომლის გადახდაც მომავალ თაობებს მოუწევთ. და იგი ძალიან სჭირდება რესპუბლიკას. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველომ უკვე დააგროვა თითქმის 2 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი. ამიტომ ძირითადად საგარეო ინვესტიციების მიზიდვაზე ამყარებენ იმედს. საქართველოს პრემიერის ლადო გურგენიძის თქმით ხომ მხოლოდ ერთი სამუშაო ადგილის შესაქმნელად 25-დან 50 ათასამდე დოლარია საჭირო. არადა, 100 ათასი უმუშევარი მაინც უნდა დასაქმონ. არსებობს ვარაუდი, რომ ამჟამად რესპუბლიკაში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი მილიონ 750 ათასია, წელს მოსალოდნელია 1,5 მილიარდ დოლარამდე უცხოური კაპიტალის მიზიდვა.

მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ძნელია უახლოეს ხანში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების რეალური გაუმჯობესების პროგნოზი. შესაძლოა ამიტომაც მიიწვიეს ამერიკელი ელჩი თათბირზე პარლამენტის სპიკერთან. საქართველოს ლიდერები ჯერ კიდევ იმედებენ თავს, რომ დასავლეთი დაეხმარებათ. თუმცა, შეერთებულ შტატებთან და ევროპელ სპონსორებთან რესპუბლიკის მჭიდრო ურთიერთობის ბოლო ათწლეულს საგრძნობი შედეგები არ მოუტანია ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. სააკაშვილს უყვარს იმით ტრაბახი, რომ მისი მმართველობისას ქვეყანაში მოგვარდა ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგება, თუმცა არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს უპირატესად რუსეთის ენერგეტიკული კომპანიების ინვესტიციების შედეგია, აგრეთვე იმისა, რომ რუსეთის კომპანიამ „სამრეწველო ინვესტორები“ შეიძინა მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატი,ააწყო მუშაობა და საწარმო ექსპორტის მიხედვით ქვეყნის ლიდერთა რიგებში გაიყვანა (მის მორიგ შენაძენებს შორისაა თბილისის საიუველირო ქარხანა და დარიშხანის საბადოები). რესპუბლიკის რეალური ეკონომიკის განვითარებაში საქართველოს დემოკრატიის ოკეანისგაღმელ სპონსორებს ასეთი წარმატებები არ გააჩნიათ. ასე რომ, სააკაშვილი და მისი გუნდი საპარლამენტო არჩევნების წინ ისევ ბლეფს მიმართავს და ურცხვად აპიარებს „ვარდების რევოლუციის“ შესანიშნავ პერსპექტივებს და ხალხს დაპირებებით კვებავს. მათ შორისაა მის მიერ გავრცელებული ჭორები, თითქოს რუსეთთან ურთიერთობაში გარდატეხა მოხდა და ჩრდილოელ მეზობელთან ამ თანამშრომლობას ქართველებისთვის ციური მანანა მოჰყვება. მხოლოდ სულელს შეუძლია ირწმუნოს, რომ მოსკოვი დააკონსორებს თბილისის მოძრაობას ნატოს მიმართულებით.

**ალბერტ ვენალაინენი**

РОСБАЛТ

● ორივე რესპუბლიკას, უწინარეს ყოვლისა, იმის იმედი აქვს, რომ რუსეთი ბედის ანაბარა არ მიატოვებს რეგიონებს, სადაც რუსეთის მოქალაქენი ცხოვრობენ



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პანდორას ყუთი იხსნება

**5 მარტს სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა გაეროს გენერალურ მდივანს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ევროკავშირის სახელმწიფოებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურებს მიმართა თხოვნით, აღიარონ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.**

6 მარტს კი, აცნობა „ნეზავისიმაია გაზეტას" აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, იგივე მიმართვას ამზადებენ აფხაზი დეპუტატები. მან აღნიშნა, რომ თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტი ამზადებს აგრეთვე სპეციალურ მიმართვას რუსეთის ფედერაციის ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს სახელზე. მიმართვები 6, ან უკიდურეს შემთხვევაში, 7 მარტს გაიგზავნება. აფხაზებმაც და ოსებმაც, სერგეი ბაღაფშის თქმით, განცხადებები აღიარების თხოვნით გააკეთეს სახელმწიფო სათათბიროში თვითაღიარებული რესპუბლიკების შესახებ მოსმენის წინ, რომელიც 13-14 მარტს გაიმართება.

საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სამხრეთ ოსეთი აღიარებს „რუსეთის განსაკუთრებულ როლს ოსი ხალხის ბედში", თანაც ითვალისწინებს „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ერთ სახელმწიფოდ თანაარსებობის შესაძლებლობას". ამასთან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა აქვს და თავის ბედს რუსეთის ფედერაციასთან სამხრეთ ოსეთის შემდგომ დაახლოებას უკავშირებს".

მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე ჯერ კიდევ თებერვლის შუა რიცხვებში ლაპარაკობდნენ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის პრეზიდენტები ედუარდ კოკოითი და სერგეი ბაღაფში მოსკოვში ყოფნის დროს. მაშინ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღების შემდეგ, ორივემ განუცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპოდენტს, რომ მალე ცხინვალი და სოხუმი აღიარების თხოვნით მიმართავენ გაეროს, ევროკავშირს, რუსეთის და თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ხელმძღვანელობას. რაც მოხდა კიდეც. რა იქნება შემდგომ იმისა, რაც ორივე თვითაღიარებული რესპუბლიკის მიმართვებს სახელმწიფო სათათბიროში წაიკითხავენ, შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ. ყოველ შემთხვევაში, ცხინვალსა და სოხუმში სულაც არ აქვთ იმის დიდი იმედი, რომ კრემლი (სახელმწიფო სათათბიროს შემდეგძ დაუყოვნებლივ აღიარებს უპირატესად რუსეთის მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებს. როგორც სერგეი ბაღაფშმა „ნეზავისიმაია გაზეტას" უთხრა, „რუსეთი მაშინვე, რა თქმა უნდა, არ გვაღიარებს, მერე კი – ვნახოთ". ედუარდ კოკოითიმ მხარი დაუჭირა კოლეგას და აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთსაც და აფხაზეთსაც რუსეთის მხარდაჭერის, აგრეთვე სხვა მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერის იმედი აქვთ. ასეთი ქვეყნების ნუსხა, ორივე პრეზიდენტის თქმით, არსებობს, მაგრამ ჯერ ნაადრევია მისი გამოქვეყნება.

რაც შეეხება მოსკოვის მხარდაჭერას, აქ ორივე რესპუბლიკას, უწინარეს ყოვლისა, იმის იმედი აქვს, რომ რუსეთი ბედის ანაბარა არ მიატოვებს რეგიონებს, სადაც რუსეთის მოქალაქენი ცხოვრობენ. ცნობილია, რომ რუსული პასპორტები აქვს მოსახლეობის უმრავლესობას, როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში. „რუსეთი კონფლიქტების მოწესრიგების გარანტია და ერთადერთი მხარეა, რომელიც ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის ეკონომიკურ დახმარებას უწევს ყოფილი საბრძოლო მოქმედების ზონებს, – აღნიშნა ედუარდ კოკოითიმ, ამასთან დასძინა, საქართველოსგან განსხვავებით".

გარდა ამისა, ხაზი გაუსვა კოკოითიმ, სოხუმსა და ცხინვალში სხვა ნაბიჯებსაც შეიმუშავებენ, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საერთაშორისო აღიარებაში დაეხმარება. თუმცა მათ შესახებაც ნაადრევია დღეს ლაპარაკი, გარდა ამისა, ეს ნაბიჯები „საერთაშორისო ნორმების შესაბამისი იქნება". სერგეი ბაღაფშის თქმით, აფხაზეთში უკვე შემუშავებულია პროგრამა სახელწოდებით „მომავლის გასაღები", რომელიც შეიცავს პირობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სოხუმისა და თბილისის დიალოგის განახლებას. მათგან მთავარია – საქართველომ ბოდიში მოიხადოს ომისათვის, რომელმაც აფხაზეთს 13 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა. ამასთან აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. გასაგებია, რომ ამ პირობას საქართველო არ მიიღებს. და სოხუმში შემუშავებულ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ახალ წინადადებებს თბილისში ალბათ საბოლოო განხეთქილების მცდელობად აღიქვამენ. თუმცა, სერგეი ბაღაფშს მიაჩნია, რომ ურთიერთობის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოთა შორის დონეზე. აფხაზეთში ასეთ მკაცრ პოზიციას მარტივად ხსნიან: თუ კოსოვომ შეძლო ეს და საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერა მოიპოვა, რატომ არ შეუძლია ეს სხვას? ამ ბალკანურ პარალელზე იგება ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თვითაღიარებული სახელმწიფოების მთელი კურსი. ამასთან, როგორც სერგეი ბაღაფშმა უთხრა „ნეზავისიმაია გაზეტას", ეს მარტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი არა, დნესტრისპირეთსაც ეხება. გაზეთის ხელთ არსებული ინფორმაციით, უახლოეს ხანში მოსალოდნელია ამ სამი თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერთა შეხვედრა, რომელზეც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საერთო ტაქტიკასა და სტრატეგიას შეიმუშავებენ.

**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА



# სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობის დავიწყება ურჩიეს

**სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არასოდეს აღიარებენ. ეს განუცხადა თვითმფრინავში ჟურნალისტებს ბრიუსელში მიმავალმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა. იგი ბრიუსელში მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრი 26 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში. სამხრეთ ოსეთის ირგვლივ სიტუაციის განმარტებისას, რაისმა უარყო მისი მსგავსება კოსოვოს პრობლემასთან. „არაერთგზის განგვიცხადებია, რომ კოსოვოს სიტუაცია უნიკალურია და წარმოიქმნა იუგოსლავიის დაშლისას წარმოქმნილ საგანგებო გარემოებათა შედეგად", – განაცხადა მან.**

ამავე დროს საფრანგეთმა მეხუთე რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენლის პასკალ ანდრეანის სახით განაცხადა, რომ იგი „ემხრობა საქართველოს სუვერენიტეტს და მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ძალისხმევას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის". ეს სიტყვა ერთგვარი პასუხი გახდა სამხრეთ ოსეთის პარლამენტის მიმართვაზე საერთაშორისო გაერთიანებისადმი, რომელიც შეიცავს თხოვნას აღიარონ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რისთვისაც დაიმოწმეს „კოსოვოს პრეცედენტი".

თვითაღიარებული რესპუბლიკის დეპუტატთა აზრით, „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი არსებობის 17-წლიანი პერიოდი ადასტურებს მის ცხოველუნარიანობას და საჭიროა მხოლოდ, მის სუვერენიტეტს ლეგიტიმურობა მიენიჭოს გაეროს წესდების შესაბამისად", – იტყობინება იტარ-ტასი. საერთაშორისო გაერთიანებისადმი თავიანთ მიმართვაში სამხრეთ ოსეთის პარლამენტის დეპუტატები აღნიშნავენ, რომ „კოსოვოს პრეცედენტის" წარმოქმნით გაჩნდა ის ახალი დამაჯერებელი დასტური, რომ რეგიონული კონფლიქტების გადაჭრას მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ უდევს საფუძვლად". გარდა ამისა პარლამენტი აღნიშნავს, რომ 2006 წლის ნოემბრის რეფერენდუმზე რესპუბლიკის საარჩევნო უბნებზე მისულ მცხოვრებთა 99 პროცენტმა საერთაშორისო დამკვირვებელთა თანდასწრებით დამოუკიდებლობას მისცა ხმა.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ გამოხმაურება

# სომხეთის მოვლენებში საქართველომ მედიატორის როლი უნდა იკისროს

**2008 წლის 19 თებერვალს სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი, შემდეგ, კი საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამ, ოპოზიციური პარტიიდან წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის ლევონ ტერ-პეტროსიანის მომხრეებში პროტესტი გამოიწვია, რის შედეგადაც სომხეთის დედაქალაქ ერევანში დაიწყო მრავალათასიანი მიტინგი. მოწინააღმდეგე მხარეთა შეუთანხმებლობისა და დიალოგის არარსებობის გამო მშვიდობიანი მომიტინგენი ძალის გამოყენებით დაარბიეს.**



ძალადობის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღით მინიმუმ 8 ადამიანია დაღუპული და 130 ადამიანზე მეტი – დაჭრილ-დასახიჩრებული. არაოფიციალური ინფორმაციით კი დაღუპულთა რაოდენობა ბევრად მეტია.

არჩევნებმა, გაყალბებებმა, საპროტესტო აქციებმა და მათმა ძალისმიერმა ჩახშობამ, როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცეში პერმანენტული ხასიათი მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანების – „კოალიცია დემოკრატიისათვის" წევრები გამოეხმაურნენ სომხეთში მომხდარ მოვლენებს და მწუხარება გამოხატეს ამის გამო. ნანა კაკაბაძე, სოსო ცისკარიშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი და კოალიციის სხვა წევრები სომხეთის მოვლენას 7 ნოემბერს საქართველოში მომხდარი საპროტესტო აქციის გაგრძელებად მიიჩნევენ. რადგანაც კავკასია ერთი ოჯახია, ასეთი ფაქტები შეიძლება სამომავლოდაც ვიწვნიოთ. „ეს დანაშაულად უნდა შევაფასოთ. ჩვენთან ჩადენილი დანაშაული 7 ნოემბერს ეპატიათ, ახლა თუ 1 მარტის დანაშაულიც ეპატიათ, ეს კიდევ მეტ პროტესტს გამოიწვევს", – აღნიშნა ზაქარია ქუცნაშვილმა.

„კოალიცია დემოკრატიის" წევრები საქართველოს ხელისუფლებასაც მიმართავენ და მათგან სომხეთის მოვლენების შეფასებას ითხოვენ. „თუ „საქართველოს ნატოს წევრობა სურს, ასეთ ფაქტებზე აუცილებლად უნდა რეაგირებდეს" არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საპროტესტო ტალღამ შეიძლება კვლავაც გადაუაროს საქართველოს, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას დიდი სიფრთხილე მართებს საგაზაფხულო არჩევნებისთვის. კოალიციის წევრი სოსო ცისკარიშვილი საქართველოს ხელისუფლებას დროული შეფასების გაკეთებისკენ მოუწოდებს და ფიქრობს, რომ ჩვენმა ქვეყანამ მედიატორის როლიც კი უნდა იკისროს, რათა ამ ვითარებიდან დემოკრატიული გამოსავალი იპოვოს.

საქართველოს არასამთავრობო სექტორმა და მათმა კოალიციამ „დემოკრატიისთვის" პეტიცია შეიმუშავა, რომლითაც საერთაშორისო თანასაზოგადოებას მიმართავენ. პეტიციის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა განსაჯოს სომხეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება; ხელი შეუწყოს საგანგებო ვითარების გაუქმებას, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს; სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების მსვლელობისას გამოვლენილი დარღვევების გამოძიებას; ყოველი ღონე იხმაროს იმისთვის, რომ სომხეთის პოლიტიკური ძალები შემდგომი კონფრონტაციიდან გადავიდნენ ვითარების პოლიტიკური მეთოდებით მოგვარებაზე. ხელი შეუწყონ მასმედიის დემოკრატიზაციას, რომელიც სადღეისოდ მხოლოდ სახელისუფლებო ხედვას გამოხატავს. ამ პეტიციას კოალიციის წევრებმა მასმედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით მოაწერეს ხელი, ასევე მოუწოდოს სომხეთის ხელისუფლებას დემოკრატიული პრინციპებით მოქმედებისაკენ და იმედი გამოთქვეს, რომ ეს მოვლენა საქართველოსთვისაც ჭკუის სასწავლი იქნება.

**თამარ ბუზალაძე**

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

● დედას და მათთვის ძვირფას ადამიანებს, მეტადრე მხატვარ ქალბატონებს მიუძღვნეს ამჯერად ყმაწვილებმა ეს გამოფენა, სადაც ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების 100-მდე ნამუშევარი წარმოადგინეს



◎ მიძღვნა

# ერთად იხალისეს დიდებმაც და პატარებმაც





**იებისა და ყოჩივარდების შემოსევაა, ვინ ცოცხალ ყვავილებს ჩუქნის საყვარელ ადამიანებს, ვინ ქაღალდსა და ტილოებზე აცოცხლებს ყვავილებს და უძღვნის მათ, გაზაფხული ჩვენში ხომ დედისა და ქალთა დღესასწაულებთან ერთად მოზრძანდება. ვინც ამ დღეებში შ.დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლის საგამოფენო დარბაზს ეწვევა, პატარა მხატვრების მიერ კედლებზე დანთებული გაზაფხულის სურნელს უდავოდ შეიგრძნობს.**

ეს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილები სოლიკო ვირსალაძის სახელობის თბილისის მერიის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის მოსწავლეები არიან, სკოლისა, რომელიც აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ყმაწვილებს გზას უკაფავს ხელოვნების მშვენიერ სამყაროში. მათ სულიერ სამყაროს ამდიდრებს და შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას დღეს აქ ხელს უწყობს 12 პედაგოგი. ამ კერას დროდადრო დამთვალიერებელთა სამსჯავროზე გამოაქვს თავის ალსაზრდელთა ნამუშევრები, რაც საზოგადოებას წარმოდგენას აძლევს თუ რით საზრდოობენ, რას და როგორ აღიქვამენ მოვლენებს ბავშვები.

დედას და მათთვის ძვირფას ადამიანებს, მეტადრე მხატვარ ქალბატონებს მიუძღვნეს ამჯერად ყმაწვილებმა ეს გამოფენა, სადაც ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების 100-მდე ნამუშევარი წარმოადგინეს. დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს სამყაროს ხედვის მათი თავისებურებები. სახვით ხელოვნებაში სათქმელის გამოხატვის საკუთარი ენის ძიების ფორმები. მათ პირველ ცდებში სამყაროებისადმი ინტერესი სხვადასხვა საშუალებით მჟღავნდება. ჟანრებიდან კი როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ნატურმორტები და პეიზაჟები იზიდავთ. მრავალი ყმაწვილი შეიძლება მოვიხსენიოთ, ვისი ნახატებიც საინტერესო მხატვრულებიც ჩანაფიქრითა და შესრულების მანერით გამოირჩევა.

ძალზე საინტერესოა იმ ბავშვთა შემოქმედება, რომლებიც გამოფენაზე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით არიან წარმოდგენილნი. მათ ცალკე კედელი ეთმობათ, ხალხურ ოსტატთა მიერ შექმნილი ტრადიციის გამგრძელებელთა კვალი ჩანს. ეროვნულ მოტივებზე შექმნილ აპლიკაციებში, ბატიკის, თექის ნიმუშებში, დეკორატიულ კომპოზიციებში. უთუოდ მოგეწონებათ 8 წლის ნინო კაჭახიძისა და 11 წლის მარიამ თავზერიძის თექისგან დამზადებული შარფები.

ამ გამოფენის ხელისშემწყობთა მიმართ სამხატვრო ხელოვნების სკოლის დირექტორმა ქეთევან ბარნაბიშვილმა მადლიერება გამოხატა, მეტადრე კი ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორისა და ტურიზმისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის ციცო ჯაფარიძის და სკოლის პედაგოგთა მიმართ.

ეს დღე, 5 მარტი, პატარა მხატვრებთან ერთად დიდებმაც გაალამაზეს. სცენაზე საკუთარი ლექსები აახმიანეს პოეტმა ქალბატონებმა – ნანა ცინცაძემ, მიმოზა ცანავამ, ნაზიბროლა გახოკიძემ. ჟღერდა ჯუმბერ ამანათაშვილის, ჯემალ ადამაშვილის, რუსუდან ხორავას, მუსიკალური ნომრები, ნინო ჩხეიძის, ანა ღლონტის, გიგი გეგელაშვილისა და ინგა ბერაძის შესრულებული სიმღერები საღამოს ახალისებდა წამყვანი გია ჭირაქაძე.

საღამოს თავისებური ხიბლი შეჰმატა კოტე მაკარიძისა და გურამ ბალარჯიშვილის დუეტმა. მათ გააცოცხლეს წარსული წლების პოპულარული მელოდიები. მათთან ერთად ამღერდა დარბაზიც. ასე გაერთიანდა სცენა და დარბაზი. ამ დღემ მონატრებული შეხვედრებისა და საღამოების სითბო გაახსენა ყველას.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ კრიმინალური სამყარო

# აქედან გაქცეული ქურდები უცხოეთშიც წარმატებით საქმიანობენ



**მას შემდეგ, რაც „ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ ომი გამოუცხადა ე.წ. კანონიერ ქურდებს, ბევრი მათგანი უცხოეთში გადაიხვეწა. ვინც ეს ვერ მოასწრო, ციხეებში გამოკეტეს. კრიმინალურ ავტორიტეტებს მათ დაუსწრებლად ჩამოართვეს ქონება და ის სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. მაგრამ როგორც საქმეში ჩახედული ეკონომისტები აღიარებენ, ზოგიერთისთვის ჩამორთმეული ქონება (სახლები, კარ-მიდამოძ იმდენად ფეშენებელურია, რომ ხელისუფლებას მათი შენახვის სახსრები არ გააჩნია. მათ გაპარტახება და განადგურება ელით. სპეციალისტები გამოსავალს, მხოლოდ მათ გასხვისებაში ხედავენ. მაგრამ რა ფასად იქნება შეფასებული ჩამორთმეული ქონება და ვინ იქნება მისი რეალური მყიდველი, ჩვენი მკითხველისთვის დიდი მკითხაობის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს.**

კანონიერი „ქურდების“ საზღვარგარეთ გაქცევამ, ციხეებში ჩასმამ დიდად ვერ გააუმჯობესა კრიმინოგენური ვითარება. მართალია, ოფიციალური სამართალდამცავი სტრუქტურები პრეზიდენტს კრიმინალური შემთხვევების აშკარა კლებას უპატაკებენ, მაგრამ ექსპერტთა მოსაზრებით, რომელიც მათ ხელთ არსებულ მონაცემებს ეყრდნობა სიტუაცია სულ უფრო მძიმდება. მატულობს მძიმე დანაშაულები. მატებაა ქურდობისა და ძარცვის ფაქტებში.

„ქურდების გენერლების“ ინსტიტუტის ამოძირკვის ძირითად მიზანს ახალგაზრდა ხელისუფლების იდეოლოგების მხრიდან წარმოადგენდა ახალგაზრდობის, მომავალი თაობის მენტალიტეტის შეცვლა „ქურდული“ მავნე ტრადიციებისაგან განთავისუფლება. მაგრამ მოხდა პირიქით. სულ უფრო მატულობს მძიმე დანაშაულები მოზარდებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სისასტიკით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მატება. კრიმინალური საზოგადოება მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა.

„ქურდების“ მოცილებას დიდი შვება არ მიუცია კერძო მეწარმეებისთვის. თუ წინათ ქუჩის „ავტორიტეტები“ ატერორებდნენ მათ, ამჟამად ტერორი ოფიციალურ, სახელმწიფო დონეზე ტარდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც საშუალო და წვრილი ბიზნესის წარმომადგენლებს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ჩინოსნებისგან მუდმივ ზეწოლას განიცდიან, უჯდებიან წილში, უხეში ზემოქმედებით იფორმებენ მეწარმეთა ქონებას. უნგრევენ შენობა-ნაგებობებს, უარეს შემთხვევაში აპატიმრებენ.

სამშობლოში შევიწროებული ე.წ. „კანონიერი ქურდები“ უცხო ქვეყნებშიც ადვილად ამყარებენ კონტაქტებს ადგილობრივ „კოლეგებთან“. ძმნიან შეიარაღებულ, ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფებს საქართველოდან ჩასული კრიმინალები მათთვის ჩვეულ ცხოვრებას აგრძელებენ. მაგრამ, როგორც ირკვევა, უცხოეთში „შავი ცხოვრება“ არც ისე უსაფრთხოა.

საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში ქართველი „კანონიერი ქურდი“ ზაზა არსენიძე მოკლეს. მას და მისი ინტერნაციონალური ბანდის წევრებს დამნაშავეთა სამყაროს სხვა ადგილობრივი ჯგუფის წევრებმა გაუხსნეს ცეცხლი. მასთან ერთად მძიმედ დაიჭრნენ თანმხლები პირები რომელთაგან 2 ბერძენი იყო.

48 წლის ქართველ კანონიერ ქურდს ავთანდილ ანთაძეს, მეტსახელად „ავთოს“, უკრაინაში, კერძოდ ვინიცაში, „კარგად იცნობენ“. მას უკრაინა-რუსეთის ციხეებში საერთო ჯამში 12 წელი აქვს გატარებული. ციხე-კოლონიებში ყოფნის დროს ერთხელ გაქცევაც მოახერხა. ბოლო დროს ანთაძე ქალაქ ვინიცას კრიმინალური სამყაროს „მაყურებლადაც“ გვევლინებოდა.

უკრაინელი სამართალდამცავების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ანთაძეს დაკავების მომენტში აღმოუჩინეს პისტოლეტი „მაკაროვი“. თუმცა ანთაძე ამტკიცებს იარაღი მილიციელებმა ჩამიდესო.

უკრაინელი კანონმდებლობის მიხედვით იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გადატანისთვის ქართველ „კანონიერ ქურდს“ 5-წლიანი პატიმრობა ელის.

საქართველოს მოქალაქე, ოჩამჩირელი 36 წლის ელდარ ქვაჩახია, მეტსახელად „ელდარი“ კანონიერ „ქურდად 1998 წელს „აკურთხეს“, მისი „ნათლობა“ მოსკოვში მოხდა. ის ქურდად ცნობილმა ავტორიტეტმა ბადრი ლაჭავამ აკურთხა – „ელდარი“ წლების განმავლობაში რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში ცხოვრობდა და ქალაქის კრიმინალური ელიტის ხუთეულში შედიოდა.

რამდენიმე დღის წინათ ქვაჩახია დააკავეს. მას ბრალი ნარკოტიკების შენახვაში ედება. სხვათა შორის „დაკავებული მსგავსი ბრალდებით ადრეც იყო გასამართლებული, როგორც ირკვევა, რუსეთის სამართალდამცავები ამ ბრალდებით არ შემოიფარგლებიან. მას დამნაშავეთა შეიარაღებული ორგანიზებული ბანდის ჩამოყალიბებისა და იარაღით ვაჭრობის ბრალსაც წაუყენებენ.

**ზაზა ბილიხოძე**

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

● საერთაშორისო ოსტატმა ნინო ბაციაშვილმა წლეულს პირველად მოიგო უცხოური ტურნირი. სამ სოფიკოსთან (ტერელაძე,ნიკოლაძე, ხუხაშვილი) და ინგა ჭარხალაშვილთან ერთად ირანის ქალაქ ურმიაში იასპარეზა. ზედიზედ ხუთი პარტიის მოგების შემდეგ ოთხ მეტოქეს დაუზავდა და 7 ქულით ტურნირის მთავარი პრიზი დაიმსახურა



ორბიტაზე

## მატერაციმ გაზეთი დაამარცხა



**გახსოვთ ის დიდი სკანდალი ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ფრანგების კაპიტან ზინედინ ზიდანსა და იტალიელ მცველ მარკო მატერაცს შორის რომ მოხდა? შემდეგ მსოფლიო პრესამ რომ აიტაცა. რაღას არ ამბობდნენ და წერდნენ ამ ინციდენტის გამომწვევ მიზეზებზე. მაგალითად ინგლისური The Daily Star წერდა, თითქოს ზიდანმა იმიტომ დაარტყა იტალიელს მკერდში თავი, რომ მან ფრანგი ფეხბურთელის დედა მეძავ-ტერორისტად მოიხსენია.**

თუმცა შემდეგ მატერაციმ აღიარა, რომ მისი დედის კი არა, დის აუგად მოხსენიებით განარისხა საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი და მკითხველისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებისთვის იტალიელმა გაზეთისგან ბოდიშის მოხდა და სწორი ინფორმაციის გამოქვეყნება მოითხოვა, რაც გაზეთმა არ გააკეთა. მაშინ მატერაციმ გამოცემას სასამართლოში უჩივლა. სასამართლომ კი ფეხბურთელის მხარი დაიჭირა — გაზეთს ოფიციალური ბოდიშის მოხდა და სასამართლოში შესაბამისი განცხადების გაკეთება მოსთხოვა.

## ვინ იქნება პირველი?

**დასასრულს მიუახლოვდა დიდი საჭადრაკო სუპერტურნირი, რომლის პირველი ნაწილი მექსიკაში გაიმართა, ახლა კი მას ლინარესი მასპინძლობს. ფინიშამდე ორი ტურიღა დარჩა და უფრო გამძაფრდება ბრძოლა არა მხოლოდ გამარჯვებისთვის, არამედ საპრიზო ფონდის გადანაწილებისთვისაც. პირველი ადგილისთვის 100 000 ევროა გათვალისწინებული, მეორისთვის — 75 ათასი, ხოლო მესამისთვის — 50 ათასი.**

მე-12 ტურში ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 17 წლის ნორვეგიელმა მაგნუს კარლსენმა დაამარცხა უძლიერესი მეტოქე ვესელინ ტოპალოვი და ლიდერს — მსოფლიო ჩემპიონს ვიში ანანდის მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ამავე ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ ანანდი — ლეკო, ივანოვიჩი — რაჯაბოვი, შიროვი — არონიანი.

## რებეკა ახალ სიმაღლეზე

**ალბათ გახსოვთ, ჯერ კიდევ 2004 წელს ლამაზმან რებეკა ლოოსის მიერ აგორებული სკანდალი — თითქოს მას ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემთან ინტიმური კავშირი ჰქონდა.** თუმცა სახელგანთქმული ფეხბურთელი ყველაფერს იფიცავდა, რომ მას რებეკასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია, მაინც ლამაზმანის ფანტაზიამ ის ახალ სიმაღლეზე აიყვანა. მან გადაწყვიტა პოპ-მომღერლად გახდომა. გასაოცარია, მაგრამ მან მიზანს მაინც მიაღწია. მისი სინგლი „შენი ბიჭი“, რომლითაც მას შოუ-ბიზნესის მწვერვალების დაპყრობა უნდა, ასე ჟღერს: „შენი ბიჭი კლუბში ვნახე... ჩემი ერთი შეხედვა კმაროდა, რომ მიმხვდარიყავ, თუ რა აზრი ტრიალებდა მის ავხორც თავში“. ამ „ნაწარმოებმა“ დღის სინათლე ამ დღეებში იხილა და მთელ ქვეყანას მოედო ინტერნეტის საშუალებით.



თუკი რებეკა ასე იოლად კითხულობს სხვისი ბოიფრენდების აზრებს, მაშინ მას ცხოვრებაში ნამდვილად გაუმართლებს.

ფეხბურთი

# ინგლისი ლიგას უტევს

**ხომ გსმენიათ, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო. ვერ გეტყვით, ინგლისურ კლუბებს როგორი ფინიში ექნებათ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ ჯერჯერობით რომ სახარხაროდ აქვთ საქმე, ფაქტია. თავად განსაჯეთ:** მეოთხედფინალში უკვე გავიდა ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენელთა ტრიო „მანჩესტერის“, „არსენალისა“ და „ჩელსის“ შემადგენლობით, მომავალ კვირაში კი, ალბათ, იგი კვარტეტად იქცევა, რადგან ძნელი სავარაუდოა, „ლივერპულმა“ მილანის „ინტერთან“ პირველ მერვედფინალურ რაუნდში მოპოვებული სოლიდური უპირატესობა (2:0) ვერ შეინარჩუნოს.



ყველაზე უფრო ღირსეულად განვლილი ეტაპი „არისტოკრატებმა“ დაძლიეს, რომლებმაც შინ 3:0 დაჯაბნეს „ოლიმპიაკოსი“ — 3:0 (ბალაკი, ლამპარდი, კალუ). შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა 0:0 დასრულდა. დაგეთანხმებით, შედეგი ყველაფერში მეტყველებს.

მადრიდის „რეალში“ რომ კრიზისი გრძელდება, „რომასთან“ მეორე დამარცხებამაც (ისევ 1:2) დაადასტურა (ტადეი, ვუჩინიჩი; რაული). ესპანელებს, მართალია, ვან ნისტელროი, სნეიდერი, რობენი და სერხიო რამოსი აკლდათ, მაგრამ აღნიშნულ წყვილში მაინც ისინი მიიჩნეოდნენ ფავორიტებად, თუმცა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ განვითარებულმა მოვლენებმა ბერნდ შუსტერის პოზიციები კიდევ უფრო შეარყია. დავძენთ, რომ ამ უხეშობით გამორჩეული მატჩის (10 გაფრთხილება, 1 გაძევება) ბედი მნიშვნელოვნად სტუმართა მწვრთნელის ლუჩანო სპალეტის მიერ განხორციელებულმა გაბედულმა ტაქტიკურმა შეცვლამ გადაწყვიტა, რომელმაც ნახევარმცველ მანსინის ნაცვლად ბრძოლაში მომავალ შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქის — ჩერნოგორიის გუნდის თავდამსხმელი მირკო ვუჩინიჩი ჩააბა. და მერე როგორ! ჯერ პეპეს „აჰკიდა“ წითელი ბარათი, ხოლო შემდეგ მსაჯის მიერ წამატებულ წუთზე შეასრულა ზუსტი თავური დარტყმა.

და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგაში შემორჩენილი ჩვენი ერთადერთი თანამემამულის შესახებ. სასიამოვნოა, რომ ლევან კობიაშვილმა „შალკეს“ თავკაც მირკო სლომკას ნდობა დაიბრუნა და პორტუგალიაში გამართულ დრამატულ საპასუხო მატჩში მინდორზე მთელი 120 წუთი გაატარა. მეკარე ნოიერის (მან ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია) ძალისხმევით ბუნდესლიგის ბინადრებმა „პორტუს“ სძლიეს და პირველად აღზევდნენ ასე მაღლა.

ჭადრაკი

# „ზღვის შვილები“

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 65-ე ეროვნულ ჩემპიონატში აჭარის სპორტულ ღირსებას ბათუმელები — სალომე მელია და ნინო ბაციაშვილი იცავენ. ზღვისპირელები ამჯერად მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობენ.**

სალომე საერთაშორისო დიდოსტატია, სხვადასხვა ასაკში მსოფლიო და ევროპის პირველობების 7 მედლის მფლობელი. შარშან ერევანში ოცწლიანთა შორის ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედალი. რომ არა უარესი კოეფიციენტი, „ვერცხლსაც“ გამოჰკრავდა ხელს. არადა, ბოლო ორ ტურში უშუალო კონკურენტებს — პოლონელ იოლანტა ზავადსკას (II ადგილი) და ინდოელ ჰარიკა დრონავალს სძლია. მსოფლიო ჩემპიონმა ვერა ნებოლასინამ (რუსეთი) ჩვენს თანამემამულეს ნახევარი ქულით აჯობა.



სალომე მელია

ეროვნულ ჩემპიონატამდე მელიამ წლეულს ორ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე იასპარეზა. მოსკოვის ღია ტურნირზე 136 მონაწილეს შორის VI-VIII ადგილები გაიყო, ხოლო საფრანგეთში, სადაც პირველობისთვის 612 მოჭადრაკე იბრძოდა, ქალებში (161 მონაწილე) V-VI ადგილები გაინაწილა, არადა ცხრავე ტურში ვაჟებს შეხვდა, მათ შორის 6 დიდოსტატს, რაც საკმარისი აღმოჩნდა ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის მესამე ბალის მოსაპოვებლად (იგი აჭარაში პირველი დიდოსტატი ქალია, რომელსაც ვაჟთა საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭება). საგულისხმოა, რომ სალომემ ოთხი წლის წინათ სწორედ საფრანგეთში შეასრულა დიდოსტატის ნორმატივი.



ნინო ბაციაშვილი

— პარიზის ტურნირის ბოლო ტურში უკრაინელ დიდოსტატ ანდრეი სუმეცს ქულა გავუყავი, არადა ბევრად უკეთესი პოზიცია მქონდა, — მითხრა სალომემ — მერე შევიტყვე, რომ მოგების შემთხვევაში ვაჟთა დიდოსტატის პირველ ბალს ავიღებდი და 6 ქულით ქალთა შორის I-II ადგილებს გავიყოფდი. კარგი შანსი გავუშვი ხელიდან, მაგრამ არა უშავს, მსგავსი შესაძლებლობა სხვა დროსაც მომეცემა და აუცილებლად გამოვიყენებ...

საერთაშორისო ოსტატმა ნინო ბაციაშვილმა წლეულს პირველად მოიგო უცხოური ტურნირი. სამ სოფიკოსთან (ტერელაძე,ნიკოლაძე, ხუხაშვილი) და ინგა ჭარხალაშვილთან ერთად ირანის ქალაქ ურმიაში იასპარეზა. ზედიზედ ხუთი პარტიის მოგების შემდეგ ოთხ მეტოქეს დაუზავდა და 7 ქულით ტურნირის მთავარი პრიზი დაიმსახურა. მართალია, ტერელაძემ (ნინო მას ბოლო ტურში შეუთანხმდა ყაიმზე), სირანუშ ანდრიასიანმა და ლილი გალიანმაც (ორივე — სომხეთი) ამდენივე ქულა მოაგროვეს, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს.

**გიორგი გაგუა**

გვწერენ

# ქართულ ფეხბურთს წაადგება



**კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის გასაგონად**

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი ყველაზე მასობრივი და უძველესი ორგანიზაციაა, რომელიც 74 რაიონულ და საქალაქო ვეტერანთა ორგანიზაციებს აერთიანებს და 600 ათასზე მეტ ადამიანს ითვლის. მათგან ბევრი ქართული ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარია.**

ჩვენთან მრავალი წერილი შემოდის სწორედ სპორტის გულშემატკივრებისგან. ამ გზავნილებში გამოთქმულია გულწრფელი სურვილები და საინტერესო წინადადებები; აი, მაგალითად რას ითხოვს გურამ მიქაბერიძე:

1. თბილისის „დინამოს“ მიერ 1981 წლის 13 მაისს ევროპის თასზე მსოფლიო თასის მოპოვების აღსანიშნავად „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნას თბილისის „დინამოს“ გუნდის ვარსკვლავი.

2. სასურველია აგრეთვე განსაკუთრებით გამორჩეულ ცალკეულ ფეხბურთელთა (ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, მ. მესხი, ს. მეტრეველი, დ. ყიფიანი, ვ. დარასელია, ხოლო დანარჩენზე თქვენი შეხედულებისამებრ) ვარსკვლავების გახსნა.

3. გამოშვებულ იქნას საფოსტო მარკები, კედლისა და ჯიბის კალენდრები ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

იქნებ გაითვალისწინონ წერილის ავტორთა სურვილები და წინადადებები, რომელთა პრაქტიკულად განხორციელება ქართული ფეხბურთის შემდგომ წინსვლას ხელს შეუწყობს!

**ელვერ კუპატაძე,**

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

ვარსკვლავი

# ჩოგბურთი მოენატრა

**მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანოსანმა მარტინა ჰინგისმა შარშან დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც დოპინგ-სინჯმა კოკაინზე დადებითი შედეგი აჩვენა.** ახლა, როგორც ჩანს, ლამაზმანს ჩოგბურთი მოენატრა და 10-დან 15 მარტამდე ლივერპულში საჩვენებელ ტურნირში მონაწილეობა გადაწყვიტა. „ბევრი რამ გამიგია ამ ქალაქზე და მინდა იმ ადგილების მონახულება, რამაც ის ევროპის კულტურის ცენტრად აქცია“, — განაცხადა 27 წლის შვეიცარიელმა.



№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება-დამატებები:

1. 1.3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1.3 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – პალატის დირექტორი, რომელიც იმავდროულად უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საარბიტრაჟო საქმეების განხილვაში როგორც არბიტრმა.“

2. 1.4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4 არბიტრი, არბიტრაჟი (საარბიტრაჟო კოლეგია) – კონკრეტული საქმის განმხილველი ერთი არბიტრი, ან არბიტრთა სამწევრიანი შემადგენლობა, რომლებიც უფლებამოსილი არიან დებულებით დადგენილი წესით განიხილონ მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა.“

3. 1.6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.6 არბიტრი – პალატასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი.“

54. 1.8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.8 კანონმდებლობა – საქართველოს კანონმდებლობა.“

5. 1.12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.12 მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით – დაინტერესებული პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ პრეტენზიას დავის საგანზე და რომელიც სარგებლობს ამ დებულებითა და „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პრეტენდენტისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით და ეკისრება ყველა მოვალეობა, რაც გათვალისწინებულია პრეტენდენტისათვის.“

6. 1.13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.13 მტკიცებულება – ნებისმიერი მონაცემი (წერილობითი, ზეპირი და სხვა.), რომლებზეც მხარეები და მესამე პირები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.“

7. 1.15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.15 საარბიტრაჟო შეთანხმება – მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმება, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის საარბიტრაჟო წესით განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ. ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმების, როგორც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილის ნამდვილობა დამოკიდებული არ არის თვით ამ ხელშეკრულების ან მისი კონკრეტული ნაწილის (ნაწილების) ნამდვილობაზე.“

8. 1.18 და 1.19 მუხლები ამოღებულ იქნეს.

9. 1.20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.20 რეგისტრატორი – საქმის განხილვის მიმდინარეობისას სხდომის ოქმის შემდგენელი პირი.“

10. 2.3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.3 დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, არბიტრი ან საარბიტრაჟო კოლეგია (კოლეგიის თავმჯდომარე) უფლებამოსილია განახორციელოს ‘კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი პროცესუალური მოქმედება.“

11. 2.4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.4 მხარეები საქმის წარმოებას იწყებენ დებულებაში და „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმე დაამთავრონ მორიგებით, პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას პრეტენზიაზე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.“

12. 2.8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.8 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წყვეტს ამ დავის განმხილველი არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია). მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის და უფლებამოსილების შესახებ, არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) გამოაქვს ცალკე გადაწყვეტილება, რომლითაც საქმეს ცნობს დასაშვებად, იღებს განსახილველად და ნიშნავს არსებითად განხილვის თარიღს. საჭიროების შემთხვევაში არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.“

13. 2.9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.9 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში ეს დებულება განიხილება როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. დებულებით მოუწესრიგებელი (გაუთვალისწინებელი) პროცესუალური საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) თავისი ინიციატივით ან რომელიმე მხარის მიმართვის საფუძველზე.“

14. 2.11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.11 მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ჰყავს პალატის დირექტორის მიერ დანიშნული რეგისტრატორი, რომელიც საქმის განხილვის მიმდინარეობისას ადგენს სხდომის ოქმს.“

15. 3.3 მუხლის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.3 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი საქმეს განიხილავს ერთი არბიტრის მონაწილეობით, ან კოლეგიურად – სამი წევრის შემადგენლობით, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. საარბიტრაჟო კოლეგია, არაუგვიანეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, ირჩევს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს, ამასთან, თუ საარბიტრაჟო კოლეგიაში მონაწილეობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, იგი იმავდროულად წარმოადგენს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს.“

16. 4.3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3 მხარე, რომელსაც სურს არბიტრის აცილება, ვალდებულია ამის შესახებ წარადგინოს წერილობითი განცხადება 10 დღის ვადაში, იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა. თუ აცილება განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვითონ ეს არბიტრი. თუ აცილება განუცხადეს საარბიტრაჟო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი წევრები ასაცილებელი წევრის მონაწილეობის გარეშე. თუ აცილება განუცხადეს საარბიტრაჟო კოლეგიის მთელ შემადგენლობას ან მის უმრავლესობას, აცილების საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო კოლეგიის სრული შემადგენლობა. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) ვალდებულია დააკმაყოფილოს არბიტრის (საარბიტრაჟო კოლეგიის) აცილების მოთხოვნა.“

17. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.5 მუხლი:

„4.5 მხარის განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული.“

18. 5.2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2 არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და დავის განხილვასთან, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.“

19. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.6.2 მუხლი:

„5.6.2 არაქონებრივ დავებში საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 500 ლარს დღგ-ს გარეშე.“

20. 5.8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.8 5.6 მუხლით გათვალისწინებული მოსაკრებლის მინიმალური ოდენობა არის 500 ლარი დღგ-ს გარეშე; ხოლო მაქსიმალური – 35 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.“

21. 5.12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.12 თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს საარბიტრაჟო კოლეგია, შემდეგ კი ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ან დამატებით გადახდევინება.“

22. 5.13 მუხლის „ა“ პუნქტი ამოღებულ იქნეს.

23. 5.13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ‘ე“ პუნქტი:

„ე) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.“

24. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.13.1 მუხლი:

„5.13.1 „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე. „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯები გადახდება გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოვალე მხარეს.“

25. 5.15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.15 საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობის ან მხარეთა მორიგების შემთხვევაში პრეტენდენტს დაუბრუნდება საქმის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი ან შემდგომში გადასახდელი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 25%. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში პრეტენდენტს დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%.“

26. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.16 მუხლი:

„5.16 არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას), მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს საარბიტრაჟო მოსაკრებლის წინასწარი გადახდა.“

27. 6.2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ‘ე“-‘ზ“ პუნქტები:

„ე) კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზეც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ვ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ზ) არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტის შუამდგომლობებს.“

28. 6.2 მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს 6.2.1 მუხლის სახით:

„6.2.1 საარბიტრაჟო პრეტენზიას უნდა დაერთოს ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელზეც ამყარებს პრეტენდენტი თავის მოთხოვნას და კავშირშია დავის საგანთან, ასევე, საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.“

29. 7.3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.3 არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს უწყებით (წერილობითი შეტყობინებით), დეპეშით, ფაქსით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (რაზედაც შესაძლებელია დასტურის მიღება) აცნობოს საარბიტრაჟო განხილვის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი (მისამართის მითითებით) სულ ცოტა 5 დღით ადრე. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირდეს მხარეთა თანხმობით. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ანდა იურიდიულ მისამართზე.“

30. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 7.3.1-7.3.8 მუხლები:

„7.3.1 საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. არბიტრაჟს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება ან/და საარბიტრაჟო პრეტენზია (თანდართულ საბუთებთან ერთად) შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც არბიტრაჟმა დაავალა უწყების და/ან საარბიტრაჟო პრეტენზიის (თანდართულ საბუთებთან ერთად) მიტანა, ვალდებულია დაუბრუნოს არბიტრაჟს მისი მეორე ეგზემპლიარი მიმღების ხელმოწერით.

7.3.2 თუ უწყების მიმტანმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელსაც შეუძლია უწყება გადასცეს ადრესატს. ასეთ შემთხვევაში, უწყების მეორე ეგზემპლარზე გარკვევით უნდა მიეთითოს, თუ ვის ჩაბარდა უწყება (სახელი, გვარი), აგრეთვე, ადრესატთან მისი დამოკიდებულება (მეუღლე, დედა, მამა, შვილი, მეზობელი და ა.შ).

7.3.3 თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების ჩამბარებელმა პირმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას.

7.3.4 თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე პრეტენდენტი, მოპასუხე ან მესამე პირი, არბიტრაჟს შეუძლია უწყება და საქმის სხვა მასალები ჩააბაროს ერთ-ერთ პრეტენდენტს, მოპასუხეს ან მესამე პირს, მის მხარეზე მონაწილე სხვა პირებისათვის გადასაცემად. პირი, რომელსაც ჩაბარდება უწყება და საქმის სხვა მასალები ვალდებულია გადასცეს შესაბამის ადრესატებს. ამ წესით უწყების ან საქმის სხვა მასალების ჩაბარება ნიშნავს შესაბამის მხარეს მონაწილე ყველა პირისათვის ჩაბარებას.

7.3.5 თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, ამის შესახებ უწყების მიმტანი აკეთებს სათანადო აღნიშვნას და უბრუნებს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ითვლება ჩაბარებულად და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

7.3.6 თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება გაზეთში გამოქვეყნების გზით. ამ შემთხვევაში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

7.3.7 მხარეები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან აცნობოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობების უქონლობის შემთხვევაში უწყება იგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

7.3.8 იგივე წესით ხდება არბიტრაჟში მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების მოწვევა.“

31. 7.7. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.7 თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3, 7.3.1-7.3.7 მუხლებით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მისი დასწრების გარეშე.“

32. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 7.8 მუხლი:

„7.8 თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე არბიტრაჟი გამოიტანს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შესახებ.“

33. 8.2-8.3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.2 პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს საპრეტენზიო მოთხოვნების ოდენობა.

8.3 საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.“

34. 9.2 მუხლს დაემატოს „დ“ პუნქტი:

„დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი პრეტენდენტის თხოვნით. საქმის განხილვა განახლდება ამ გარემოების აღმოფხვრის შემდგომ.“

35. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. საქმის წარმოების დამთავრება

საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

10.1 არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი პირის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა;

10.2 არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს საარბიტრაჟო პრეტენზიას, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება;

ბ) საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა პრეტენდენტი, ხოლო მოპასუხე თანახმაა საარბიტრაჟო პრეტენზია განუხილველად იქნეს დატოვებული;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადდა;

დ) სხვა არბიტრაჟის წარმოებაში საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

ე) პრეტენდენტმა საარბიტრაჟო პრეტენზიაში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

10.2.1 საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში პრეტენდენტს უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს საარბიტრაჟო პრეტენზია ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.“

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



ხსოვნა

# ოთარ ბახტაძე

ავისმომასწავებელი იყო ქ.თბილისის მე-2 კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის 4 მარტის დილა – სამსახურში მოსულებს საშინელი ამბავი გვემცნო – ღამით უეცრად, 54 წლისა, გარდაიცვალა ფირმა „დენტ-ივერის“ პრეზიდენტი, ცნობილი ექიმი-სტომატოლოგი და ჯანდაცვის მენეჯერი ოთარ ბახტაძე. ექიმებმა დაკარგეს საყვარელი კოლეგა და ხელმძღვანელი, ქართულმა სტომატოლოგიამ – გამოჩენილი სპეციალისტი, ავადმყოფებმა – თანამდგომი, ყურადღებიანი, თბილი მკურნალი. ბატონ ოთარში გაერთიანებული იყო მაღალი პროფესიონალიზმი, ორგანიზაციული ნიჭი და ბრწყინვალე ადამიანური თვისებები, ეს ყოველივე ქმნიდა იმ ხიბლსა და აურას, რაც მას თან სდევდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.



ოთარ ბახტაძე დაიბადა 1953 წლის 30 ოქტომბერს, მამა, ბატონი გრიგოლი ინჟინერი იყო, დედა, ქალბატონი ეთერი – ექიმი-სტომატოლოგი. ოთარ ბახტაძე 1970 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და თავისი ცხოვრება დაუკავშირა ორთოპედიულ სტომატოლოგიას – მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. 1990 წელს ოთარ ბახტაძემ დააარსა დღეისათვის კარგად ცნობილი სტომატოლოგიური ფირმა „დენტ-ივერი“. ყველაფერი გააკეთა მისი სათანადოდ აღჭურვისა და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის, დანერგა მკურნალობის მრავალი პროგრესული მეთოდი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი ოთარის დამსახურება სტომატოლოგიის სწავლების საქმეში. მან, პირველმა ჩვენს ქვეყანაში, შექმნა სტომატოლოგ რეზიდენტთა მოსამზადებელი ცენტრი „დენტ-ივერი XXI“, მაღალ დონეზე აიყვანა რეზიდენტთა მომზადების საქმე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომი გახადა მრავალი ინოვაციური მეთოდი თავისთავად ძვირადღირებულ ორთოპედიულ სტომატოლოგიაში. ცხადია, ასეთი პიროვნება ღირსეული იყო კოლეგებთან დამოკიდებულებაშიც, მუდამ მხარში ედგა კოლეგებს, ამხანაგებს და მეგობრებს ლხინსა თუ გაჭირვებაში. ამიტომაც არის, რომ ასე მძიმედ განიცდიან მის უდროოდ დაღუპვას ჩვენი კოლექტივი და სამედიცინო საზოგადოება.

უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ბატონ ოთარს გვერდს უმშვენებდა შესანიშნავი მეუღლე ქალბატონი რუსუდან ბუაძე. მისი სიხარულის წყარო იყვნენ შვილები ირაკლი – კავკასიის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი, ინგლისის საინვესტიციო კომპანია „იმეკის“თანამშრომელი, და ქალიშვილი ეთერი – ექიმი-სტომატოლოგი, რომელმაც მამის მიერ დაარსებულ სასწავლო ცენტრში გაიარა მომზადება და იქვე განაგრძობს მუშაობას.

ოთარ ბახტაძე იყო ჩვენი ქვეყნის სტომატოლოგთა ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი ხელმძღვანელობით 2007 წ.ქ.ბათუმში ჩატარდა სტომატოლოგთა საერთაშორისო კონგრესი.

კეთილ საქმეებზე ორიენტირებულ მაღალი კომპეტენციის, ეროვნული აზროვნების, პატიოსან პიროვნებას და შესანიშნავ ექიმს ბატონ ოთარ ბახტაძეს მრავალი დიდი საქმე დარჩა განსახორციელებელი. იმედია, მათ რეალიზაციას მისი მეგობრები და თანამშრომლები ნაწილობრივ მაინც შეძლებენ. ისე კი მის მიერ გაკეთებულიც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საექიმო საზოგადოებასა და პაციენტებში ბატონი ოთარის ხსოვნა დარჩეს როგორც ბრწყინვალე ექიმის, მედიცინის ორგანიზატორის და ქართველი პატრიოტისა.

ეს სამგლოვიარო წერილი კი მინდა დავამთავრო ცნობილი ქართველი პოეტის სიტყვებით:

„სხვაფრივ მშვიდობით იარე და
ტკბილი გექნას ძილი,
მიწა შეგიხვევს იარებს,
დედა ღვთისმშობლის წილი“.

*ქ. თბილისის II კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივისა და მეგობრების სახელით, პროფესორი*
**სულხან ქემოკლიძე.**



დედა აგრაფინა წულაძე, მეუღლე დოდო, შვილები ლელა, კობა, თეა, დათო, შვილიშვილები ბექა, ნინი, ანა, ოზი, ძმები მურმან, ბადრი ვადაჭკორიები, სიძეები რომან გელაშვილი, ბესო დოლიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ნიკოლოზის ძე
ვადაჭკორია

პანაშვიდი 6, 7 III, 17 სთ. გამოსვენება 8 III, 14 სთ. მისამართი: ვარკეთილი 3, III ა მ/რ კორპ. 322, მე-7 სადარბაზო მე-4 სართული.

---

სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დერმატო-კოსმეტოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის რუსუდან ლაცაბიძის შვილი

სოფო გიორგობიანი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

თამაზ კობახიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

ოთარ ბახტაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ყოფილი X 3 კლასის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ოთარ ბახტაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

მაია იაშვილი, ნანა კილასონია, მარინა გიგოლაშვილი, მარინა ცირეკიძე, ნინო მუშკუდიანი, მზია თვალაბეიშვილი, თამაზ კობახიძე, თემურ საყვარელიძე, ვანო კობაიძე, აჩიკო გელოვანი, დათო დევაძე, გია ჟორჟოლიანი, რამაზ ურუშაძე, თემურ კობახიძე, ზურაბ ლოსაბერიძე, გია მარტიაშვილი, თემურ მგელაძე, კოტე კახიანი იუწყებიან მეგობრის

ოთარ ბახტაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირინა თვაურს მამის

თენგიზ თვაურის

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ვალერიან მაისურაძე იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბელა სერგოს ასული
დოდელია

პანაშვიდი 7 III, 17 სთ. გამოსვენება 8 III, 14 სთ. მისამართი: თიანეთის ქუჩა №107.

№ 43. პარასკევი, 7 მარტი, 2008 წელი.

◉ ინფორმაცია

## ყაჩაღობა მსხვერპლით დასრულდა

**ყაჩაღური თავდასხმა მოხდა ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, რომელიც მსხვერპლით დასრულდა.**

ერთ-ერთ აფთიაქში სამი შეიარაღებული პირი შეიჭრა, მათ მძევლად აიყვანეს აფთიაქის მეპატრონის ძმა შოთა მახარაძე და თანხას ითხოვდნენ.

ჭავჭავაძის ქუჩაზე მისულ სამართალდამცავებსა და თავდამსხმელებს შორის ორმხრივი სროლის დროს ერთი თავდამსხმელი, 32 წლის როლანდ მახარაძე დაიღუპა. დანარჩენმა ორმა კი სამართალდამცავთა მისვლამდე მიმალვა მოასწრო. მათი ვინაობა ჯერ უცნობია.

არსებული ინფორმაციით, როლანდ მახარაძე ნარკოტიკების მოხმარება-გასაღებისთვის იყო ნასამართლევი და 2007 წლის დეკემბერში შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა.

მას აფთიაქის მეპატრონე მახარაძეებთან ნათესაური კავშირი არ ჰქონდა. დაღუპული მახინჯაურში ცხოვრობდა.

## პატიმარმა პირი ამოიკერა

**თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი რეზო კლდიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.**

ამის შესახებ კლდიაშვილის მამამ, პოლიციის პოლკოვნიკმა იუზა კლდიაშვილმა განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, რეზო კლდიაშვილი უკვე მეოთხე დღეა, შიმშილობს, მან პირიც ამოიკერა, რამაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც პატიმრის მამა აცხადებს, შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ციხეში არსებულმა უკიდურესად მძიმე მდგომარეობამ და რამდენიმე კვირის განმავლობაში განხორციელებულმა წამებამ გაართულა.

იუზა კლდიაშვილის განცხადებით, რეზო კლდიაშვილისგან სამართალდამცავები ჯერ ბადრი პატარკაციშვილზე, ხოლო შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილსა და ალეკო სუხიტაშვილზე მოითხოვდნენ ინფორმაციას.

მისივე თქმით, არანაირი ინფორმაცია, რასაც ძალოვანები მოითხოვენ, კლდიაშვილს არ გააჩნია.

## ბრალდებული გამართლდა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის დახმარებით კიდევ ერთი მძიმე დანაშაულში ბრალდებული გამართლდა.**

როგორც იუსტიციის სამინისტროდან განაცხადეს, რაფაელ ჯ.-ს თბილისში ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში ადანაშაულებდნენ. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა.

საზოგადოებრივი ადვოკატის თეა შენგელიას მტკიცებით, დანაშაულის ჩადენის მომენტში რაფაელ ჯ. ნათესავთან მარტვილში იმყოფებოდა. დაცვის მხარის მოთხოვნით, შემთხვევის ადგილზე ჩატარდა ოდოროლოგიური (სუნისძ ექსპერტიზა, რომელმაც გამორიცხა დაზარალებულის ოჯახში ბრალდებულის ყოფნის ფაქტი. ადვოკატის შუამდგომლობით დაიკითხა ალიბის 12 მოწმე, რომელთაც ბრალდებულის უდანაშაულობა დაადასტურეს.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, პროკურორი დაეთანხმა ადვოკატის მოთხოვნას და პატიმარი თავდებით გათავისუფლდა. მოგვიანებით, დანაშაულის არარსებობის გამო, რაფაელ ჯ.-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა.

ინტერპრესნიუსი

◉ დედაქალაქი



## საჩუქარი ფეხბურთის მოყვარულებს

**თბილისის მერმა სოფელ დიდ ლილოში პირველი ხელოვნურსაფარიანი სტადიონი გახსნა. კომბინირებული მოედნის მშენებლობა სოფლის მოსწავლეების თხოვნის საფუძველზე განხორციელდა. გიგი უგულავა დიდი ლილოს მოსახლეობასაც შეხვდა.**

**ეს არის მერიის საჩუქარი ბავშვებს, რათა მათ მეტი სტიმული მივცეთ იმისთვის, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ.** ამასთანავე ჩვენ ვაგრძელებთ ახლადშემოერთებული სოფლების განვითარების პროგრამას. ყველა სოფელში უნდა იყოს ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა თბილისში. მართალია, არსებობს პრობლემები, მაგრამ ისინიც ძალიან მალე გადაიჭრება, – განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

თბილისის მერიის წარმომადგენლების განცხადებით, კომბინირებული სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია ყველა ახლადშემოერთებულ სოფლებში იგეგმება.

ჯი-ეიჩ-ენი

# ბოლო გვერდი

● წავიდა ჩვენგან დიდი სოფიკო ჭიაურელი, რადგან მას, პოეტისა არ იყოს, „ცეცხლოვანს, თავისი ივდითივით, ცაში ელოდება ურიელი“...





◉ ესეც რეიტინგია

## დღეგრძელი ხელისუფალნი



ნამდვილად დიდი სენსაცია იყო, როდესაც **ფიდელ კასტრომ** კუბაზე 49-წლიანი თავკაცობის შემდეგ პოსტი დატოვა და ის ძმას, რაულ კასტროს „გადააბარა“. ბუნებრივად ისმება კითხვა, კიდევ ვინ იყო, ან არის ასე ხანგრძლივად ქვეყნის სათავეში, „ტახტზე“?

პოლიტიკური დღეგრძელობა ჩვენს პლანეტაზე ძირითადად მონარქების ხვედრია. ტაილანდის 80 წლის მეფე **პუმიპონ ადულიადეტი** ტახტზე ჯერ კიდევ 62 წლის წინათ – 1946 წელს ავიდა, როცა ფიდელი უცნობი სტუდენტი იყო.

დიდი ბრიტანეთის დედოფალი **ელისაბედ** II თითქმის 55 წელი მეფობს. ბრუნეის სულთანი **ხ. ბოლკიანი** ქვეყანასა და ქვეშევრდომებს 40 წელზე მეტ ხანს მართავს. ომანის სულთანი **კაბურ ბენ საიდი** კი – დაახლოებით 38 წელი. დანიის დედოფალი **მარგრეტ** II ქვეყნის სათავეში 36 წელია, შვედეთის მეფე **კარლ XVI გუსტავი** – თითქმის 35 წელი, ესპანეთის მონარქი **ხუან კარლოს** I –32 წელზე მეტი.

არამეფეთაგან სხვებზე დიდხანს – თითქმის 39 წელი ხელისუფლების სათავეშია მხოლოდ ლიბიის ლიდერი **მ. კადაფი.**

ფიდელ კასტროს ფონზე შედარებით „ახალგაზრდა“ პოლიტიკოსებად გამოიყურებიან ანგოლის პრეზიდენტი **ჟ. ე. დუშ სანტუში** – ხელმძღვანელობს თითქმის 29 წელი, ზიმბაბვეს პრეზიდენტი **რ. მუგაბე** (28 წელიძ და ეგვიპტეს პრეზიდენტი – **მუბარაქი** (27 წელიძ.

◉ სულთათანა

## „...წავიდა ფუფალა საყვარელი თავისი შიოლას საპოვნელად“...



***გუშინ** დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარეს ხალხის საყვარელი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე სოფიკო ჭიაურელი, რომელიც თავისი უაღრესად ღრმაშინაარსიანი შემოქმედებით მარტო ქართული ან, თუნდაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის კი არა, მსოფლიო კულტურის ნაწილიც იყო.*

*წავიდა ჩვენგან დიდი სოფიკო ჭიაურელი, რადგან მას, პოეტისა არ იყოს, „ცეცხლოვანს, თავისი ივდითივით, ცაში ელოდება ურიელი“...*

*მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.*

◉ ინფორმაცია

## აფხაზებმა ჟურნალისტები გაათავისუფლეს



**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაკავებული ტელეკომპანია „მზის“ კორესპონდენტი მალხაზ ბასილაია და ტელეოპერატორი დავით წოწორია უკვე თავისუფლები არიან.**

გაეროს მისიამ ისინი ენგურის ხიდზე ქართულ მხარეს გადასცეს.

მალხაზ ბასილაია, დავით წოწორია და მისი დედა მაია დანელია 26 თებერვალს გალის რაიონში დააკავეს. დანელია 1500 რუბლის ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი

## ბრაკონიერები თარეშობენ

**გარემოს დაცვის ინსპექციის სპეციალურ დავალებათა სამსახურისა და ქვემო ქართლის ბიუროს სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლების მიერ, ერთობლივი რეიდის დროს, გარდაბნის რაიონში, ჯანდარას ტბაზე უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოვლინდა. ამოღებულა დაახლოებით 2 კმ-მდე სიგრძის ბადეები და 150 კილოგრამი სხვადასხვა ჯიშის თევზი.**



აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. უკანონოდ მოპოვებული თევზი გადაეცა გარდაბნის რაიონში არსებულ მიუსაფართა სახლს „ქსენონს“ და უნარშეზღუდულ ბავშვთა ცენტრს „საპოვნელას“.

ХИ-ЭЙВ-ЭЙИ

◉ კვლევა

## ქალი – ოჯახის დამნგრევი?!

**ჩეხეთში ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთიორად გაიზარდა ისეთი წყვილების რაოდენობა, რომლებიც 25 წელი ერთად ცხოვრების შემდეგ განქორწინდნენ. ახლა ეს ციფრი განქორწინებათა საერთო რიცხვის 9 პროცენტს შეადგენს. ცოლ-ქმარი, რომლებსაც შვილები გაეზარდათ, ხშირად ერთობლივი ცხოვრების აზრს კარგავენ და ერთმანეთს შორდებიან.**



ბოლო 50 წლის განმავლობაში უნგრეთში განქორწინებათა რაოდენობამ თითქმის 6-ჯერ მოიმატა. ამასთან, წყვილების თითქმის 80 პროცენტი ერთმანეთს შორდება მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ინიციატივით. სოციოლოგების დაკვირვებების თანახმად, სწორედ მამაკაცებს სურთ ოჯახის შენარჩუნება. ქალებს შორის მოეწყო გამოკითხვა, რომელმაც ცხადყო, რომ ისინი ქმრებს შორდებიან ფინანსური პრობლემების, მუდმივი სტრესების, ცხოვრების თანამგზავრის დეპრესიისა და პერსპექტივის უქონლობის გამო. საყურადღებოა, რომ მამაკაცთა გამოკითხვამ გააბათილა მითი, რომ ცხოვრების ახალ თანამგზავრთან მეორე ქორწინება ძლიერი ნახევრისთვის უფრო ბედნიერია. მამაკაცების თითქმის 30 პროცენტს ენატრებოდა პირველი ცოლი, რომლის მიმართაც სიყვარულს გრძნობდა და პირველად განიცადა ოჯახური ბედნიერება.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

**– მეუფეო, თქვენ ნაძირალა ხართ! დუელში გიწვევთ!!! აირჩიეთ იარაღი: დაშნა თუ პისტოლეტი?**

**– დაშნა.**

**– შესანიშნავია. მე კი პისტოლეტს ვირჩევ.**



* * *

**ასლარიანი ხელფასი უფრო მორალური წახალისებაა, ვიდრე მატერიალური.**

* * *

**როდესაც გლეხები მოსავლისთვის ბრძოლაში იმარჯვებენ, ეს უკანასკნელი, როგორც დამარცხებული, ცხადია, ილუპება.**

* * *

**– რამდენი დაგჭირდება, რომ ფრენა ისწავლო?**

**– ზუსტად არ ვიცი, დაახლოებით შვიდი-რვა.**

**– თვე?**

**– თვითმფრინავი.**

* * *

**არჩევნების შემდგომ დილას მედვედევმა მშობლებს დაურეკა.**

**– დედი, როგორა ხართ?**

**– ოი, შვილო, მთელი ღამე არ გვიძინია, შენს გამო ვნერვიულობდით.**

**– კარგი რა, დედი, თქვენ მაინც ნუ მაშაყირებთ.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.